


K 58166
2

ԱՅՆՈՎԱՐԴԻ
ՀՐԵՑԵՑՈ



კერძოები
კოეჭები




ინგლისერიდან თარგმნა
ზვიად გამსახურდიაშ

რედაქტორი ნ. ყიქსაშვილი

American Poets

Translated into Georgian
By Zviad Gamsakhurdia
„Sabtschota Sakartvelo“, Tbilisi



И (Амер)

82—1 საქართველოს
• 575 უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა

7—3—4
279—71 ღდგ

XX საუკუნის პერიოდი პოშტი

როდესაც საუბარია ამერიკულ პოეზიაშე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი თვითმიყოფადი განვითარება იწყება XIX საუკუნიდან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის თავისებურებანი, რომლითაც გამოიჩინებან ახალი ამერიკული პოეტები, ვევე საცნაური არიან XIX საუკუნის ამერიკულ პოეზიაში. ინგლისური პოეზიის მდიდარი ტრადიციები თავისებურად აღიზრინდნენ ამ ახალ მიწაზე. მაშინ, ჩო-ჯებაც ვეროპა დევადამისი მწერებით იძურებოდა, ამერიკები აღმოცენდა ახალი, ტრანსისტური ტიპი პოეტისა, ცხოვრებასთან წილნაყარი, მიწიერი განცდებით დატვირთული.

მაგრამ ჩევნ ისიც უნდა გვაჩიოდეს. რომ სიმბოლიზმი ამერიკულან მიეცინა ვეროპის კონტინენტს. ედგარ პოს უშავლო გაელონას განიცადინენ ფრანგი და საფრთხო ვეროპელი დევადენტები (უნდა აღიზრინოს, რომ ედგარ პოს თავისი ქვეყნის ლიტერატურაშე არ მოუხდება ისეთი დიდი ზევავლება, როგორც ვეროპის ლიტერატურაშე). რაც შეეხება უიტმანის ტრადიციებს, მისი ზეგავლენა უძრო საყრდნობა დღვეულდე ამერიკულ პოეზიაში. მისი კურნალიზმი, მისი ჯანხაღი, დემოკრატიულ კონცეპციებშე დაუძრებული შოთლუმშეღველობა, მისი თავისუფალი ლექსი მრავალი სახით აღიზრინდა ამერიკულ პოეტთა შემოქმედებაში.

უიტმანაშველი ამერიკული პოეზია გვიანდელი რომანტიზმის ერთგვარი გამოიძახილია. იგი ინგლისური „ტბის სკოლისა“ და ვიქტორიანული პოეტების ტრადიციებს აგრძელებს. ედგარ პოს, ლინგველის, ჯეიშ ლოველის ესთეტიკა ნაკლები თვითმიყოფადობით გამოიჩინა, სამაგიტოდ ინგლისური ბოლოოით-მოვანი ლექსი მათ შემოქმედებაში არნაზულ სიმაღლეებს აღწევს. მუსიკალურ პრინციპს ინგლისური ლექსის ისტორიაში არღვეს ქერნია ისეთი დიდი მინიჭნელობა, როგორც ედგარ პოს შემოქმედებაში. ამიტომ გამოიწვია მისმა პოეზიამ

ის საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული მიმღებარეობა, რომელსაც ქართულ
ლიტერატურაშიც არ იყო გამოიხილი.

ზავრამ ამერიკული ლიტერატურის ინგანიზმს ვერ შეესისხლხორცა სიმბოლიზ-
მის მამამიავრის შემოქმედვა. ვება ანალიტიკის, მიმღებ ინდუსტრიის და ფუ-
ნდამენტალური ტექნიკის ქვეყნაში, გრანდიოზული სოციალური ძრეწისა და
შეჯახებების ეპოქაში, უკმარი აღმოჩნდა კამერული ლირიკა ზემოხენებული
. რეტრიბის. ახალ თემებს, ახალ კილოებს მოითხოვდა განახლებული ცხოველია,
ამიტომაც შესცვალა „შმინდა ხელოვნების“ იდეალები უქმია ურნალიშმა,
ხოლო ედგარ პოლ რაფინირებული სალექსო სტრიქონი უიტმიანის თავისუფალმა
დავქმია, რომლის ინტრაციები ჩრირად „ნიუ-იორკ პრიბუნს“ აკონებ-
და მიკითხველებს.

უკიტმანის სიკვდილის შემდეგ ერთგვარი კრიზისი შეიმჩნეოდა ამერიკულ პო-
ეზიაში. საზოგადოებამ ვერ შეამჩინა ემილი დიკინსონის დიდი ტალანტი,
რომლის შემოქმედებაც შემდგომში საუკერად დაედო მოვლას მიმღებარეობას
ამერიკულ პოეზიაში.

მეოცე საუკუნის ათასნ წლებში იწყება ის გარდატეხა, რომელსაც ამერიკულ
კრიტიკაში „რენესანსის“ დასაწყისს უწიოდებს. და მართლაც, უაქტურად ამ
დროიდან იწყება ამერიკული ოეზიის ნამდევილი, თვითშეიფაღი განვითარება.
ამ დროისათვის გამოიდან ასპარეზზე დიდი ამერიკელი პოეტი რეალისტები:
ედვინ არლინგტონ რობინსონი, ედვარ ლი მასტერი, კარლ სენდბერგი, ვეილ
ლინდზი და რობერტ ფრისტი. რომელიც მოვლის სიმწვავით აყენებენ დიდმნიშვ-
ნელოვან სოციალურ საკითხებს, უბრუნდებიან უიტმიანისეულ. საერთო-სახალხო
გაებებას პოეზიისას. მათი ესთეტიკა რომანტიზმის საპირისპირო პრინციპება
აყებული. მათვებს არ არსებობს „ნიული“ თემები, პოეზია უნდა ეშასხერებო-
დეს ადამიანური ყოფის ყოველ უბანს, არ უნდა იუცხოს არც ერთი დეტალი
ადამიანის განცდათა სამყაროსი. რეალიზმი მათვებს საზოგადოებრივ მანკიე-
რებათა შეიღებასაც ნიშნავს. 1915 წელს გამოიდის მასტერის „სპუნ რივერის
ანთოლოგია“, ყველაზე პოპულარული წიგნი ამერიკულ პოეზიაში, სადაც საო-
ცარი მხატვრული ძალითაა აღმეცდილი ზემსარავი დეტალები შეა დასავლეთის
ერთ-ერთი პატარა ქალაქის ცხოვრებისა. მსგავს დასალიერა ყოფასთან შეიმჩნე-
ვა სხვა ამერიკულ რეტრებთანაც. მასტერისის თავისუფალი დავქმია, ისევე როგორც
სენდბერგისა, უიტმიანისა უახლოებება. შედარებით მეტ კონსერვატივშია იჩინენ
დაეჭირებობის საკითხში რობინსონი, ფრისტი და ლინდზი. მაგრამ, მიუსე-
ვა

მურიკ პლეადა პოეტებისა: ესრა პაუნდი, ემი ლოუელი, ჰილდა დელიტლი,
ტომას სტრიქონის ელიოტი და სხვანა უფრო მეტიღრიდ არიან დაკავშირებულინ ვე-
როველი იეზიის ტრადიციებთან. პაუნდი იმავეზემის დროშიც გამოდის, თუმცა
შისთვისაც არ არის უცხო თანამედროვე ფინებოლოვის გაშექება და ჩავრცელთად-
მი სიმისათია („აკუნძული ტბაზე“, „დაფალება“). ტომას სტრიქონის ელიოტი
ემილიონ გამჭველული აზრის ღიმინირებას პოეზიაში ათავსებს ფორმის მტკი-
ცე ნაკედობასთან, იყი იმრევის სალექსი სტრიქონის ზედმეტად მიღუნების წი-
ნააღმდეგ თავისუფალ ლექსი, რითაც მასტერსს და „მასტერსისმს“ უპირის-
პირდება.

განცალკევებით დგანან უოლეს სტივენსი და რობინსონ ჯეფრისი. სტივენსი-
სთვის სრულიად უცხოა ის უტრადისმი, რომელსაც ესოდენ უართოდ გაუდებ
კარი ზემოსხერებულმა პოვებმა. იყი უპირეველს ყავლისა ენის სტექიოდნ გა-
მოდის. მისი ლექსი გვიზიდავს თავისი შესიკალიბით. პოვეტურ სახეთა ვეზოტი-
ურიობა მას სიმზოლისმის კორიცხებთან ანათესავებს. რობინსონ ჯეფრისი, კალი-
ფორნიის კლდივან სანაპიროზე განვიარტებით მიწოვრები პოვტი, ასე აშანია-
თებს მექრთებულ შტატებს: „პრეზიდენტს დაღუპების გზაზე დამდგარი რესპუბლი-
კა“. წყარი იყვანის სანაპიროს უწევული ანორამები უწევული პოვეტურ სახე-
უბად იქცნენ მის შემოქმედებაში. იყი ქვეზის სათაურებს: „კოშკი ტრავედიის
მიღმა“, „გაუწივერით მზეს“, „მიეცით თქევენი გული ქორებს“ და სხვა. თავად
სათაურები გვაგრძნობინებენ ჯეფრისის შემოქმედების ხასიათს, ამ დიდი, მეამ-
ბოხე სელის წევასა და მარტვილობას.

როგორც აღინიშნა, X X საუკუნის ამერიკელი პოეტების დიდი ნაწილი უიტ-
შანის მიერ გაეცალულ გზას მიიყვება. უიტშანის მიერ შემოღებული სალექსი
იმსტრუმენტი ფართოდაა გაფრცელებული ამერიკულ პოეზიაში. ამერიკელი პო-
ეტებისათვის თავისუფალი ლექსი გულისხმობს შეტრიკისადმი ნებისმიერ დამო-
კიდებულებას, სალექსი სტრიქონში მახვილების ნებისმიერ განაწილებას, რაც
ნაცელებად ბორკავს პოეტს და მიმართავს შეითხველის ყურადღებას ლექსის შენა-
ართობრივი შეარისადმი. თავისუფალი ლექსი უფრო მრავალურივონია და ნაკ-
ლებად მონოტონური, ვიდრე ბოლორითმოვანი ლექსი. თუ ბოლორითმოვანი ლექ-
სის სტრიქონში ტერიფი შეტრცელი კანონის საუკერებლზე ურთიანდებიან, თა-
ვისუფალი ლექსის სტრიქონი აერთიანებს სხვადასხვა ხასიათის ტერიფებს, რომელ-

თა შერჩევა და ურთიერთდაკავშირება პოეტის ინტონაციის საქმეა. მათ ითვის, მი შემთხვევაში პოეტი თავისუფალია ყველგვარი მეტრულ-რიტმულ კადრებზეთქავან. მაგრამ აქაც უნდა იღრმობოდეს მცველი შენაგანი რიტმი. ას რეპერტუარში ტომას სტერნის ელოტი თავისუფალი ლექსის შესახებ: „თვით ყველაზე თვა-სუფალ ლექსიც კი, უკანა პლანზე უნდა მოსმინდეს ლანდი რომელიმე უბრალი შეტრისა, რომელიც წინ წამოიწევს, როდესაც ჩავთვლემო, და გაუჩინარება, როდესაც განვითარობოთ ძილს. ლექსი თავისუფლება მხოლოდ მაშინაა ჰერმიტი-ტი თავისუფლება, როდესაც იფი წარმიყვიდება ხელოვნური შეზღუდვის ფონზე“.

„ამერიკული პოეზია, ისტორიული გავებით, მოღიანად „ახალია“. — წერდა კრიტიკოსი ჯეფრი მური 1953 წელს ამაღი ამერიკული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაში. და მართლაც, ეს ანთოლოგია იშევბა XIX საუკუნის მიწერულში გარდაცვლილი პოეტი ქალის ემილი დიკინსონის ლექსებით და მთავრდება უახლესი, 1927 წელს დაბადებული პოეტით უ. ს. მერვინით. ღრისის ამ მცირე მონაკვეთში ამერიკულმა პოეზიამ მართლაც რომ დიდი გზა განვითარებისა, ერთის შერიც, ხდებოდა მისა დიდურულია ევროპული პოეზიისაგან. მე-რის შერიც კი, ამერიკული პოეზიის თავასამინი წარმომადგენლები ტ. ს. ელი-ტი, რ. ჯეფრის, რ. ფროსტი, უ. პ. ოდენი და სხვანი უფრო და უფრო აქტუალ-ნებდნენ ლიტოლგას, რათა მათი პოეზია არ ყოფილიყო ჩავტილი ეიზო ამერიკულ სპეციულიაში. მაგალითად, ტ. ს. ელიოტის შესახებ თამაშად შეიძლება ითვას, რომ იფი აღარ არის ტიპიური ამერიკული პოეტი. არა მარტო იმიტომ, რომ იფი ინგლის გადასახლდა და მიიღო ინგლისის მოქალაქეობა, ანამედ იმიტომ, რომ მისი შემოქმედება სცილდება, ხერთოდ, ნაციონალური ლიტერატურის ფარგ-ლებს. ელიოტი ამ თვალსაზრისით შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც დასაცლებოს პოეტი და არა როგორც მხოლოდ ინგლისელი ან ამერიკელი პოეტი, ვინაიდან მისი შემოქმედება ორგანულად არის დაკავშირებული, ხერთოდ, და-საცლებოს კელტურის ტრადიციებთან. აქ არის ამერიკული პოეზიის სპეციულ-კაც (მაგ. ლექსი „ბოსტონი ივნინგ ტრანსირიბტი“ და სხვ.), ფრანგული სიმბო-ლიზმის გაცლენებიც („ალფრედ პრუფრიცის სამაჭნურო სიმღერა“, „ქარიანი დაშის რაფსოდია“), ინგლისური შეტაუიზიკური პოეზიის ახლებური აღორმინება, პროვანსალური და საქრთოდ რაინდული ლიტერატურის მოტივები და სხვ. იფივე თემის რობერტ ფროსტის შესახებ. მისი ლექსი უფრო დაკავშირებულია ინგლისური კლასიკური ლექსის ტრადიციებთან. ვიდრე უკრმანს, სენდერინისა და მასტერსის თავისუფალი ლექსის გავებასთან. ასევეა ედვინ არლინგტონ რო-

ბინისონი. რომელიც გუთვენის პოეტი რვალისტების დიდ ხუფულს. მისი გამოიწვევა ფორმის კლასიკური დახვეწილობით, თემატიკაში იგი მნიშვნელობრივება ექნის ული ღიტტიატტის ტრადიციებს: არტურის ციკლის დაკამაყნების, კლდტურ საკებს და სხვა. ამერიკელი კრიტიკოსი ჩარლზ ტ. დევისი ხთვლის, რომ რომინსონით იწყება ახალი ამერიკული პოეზია, თუმც კულტურა მერმა თავის ანთოლოგიაში ემილი დიკისტერით დაიწყო ახალი ურა ამერიკულ პოეზიაში. საერთოდ, მკალევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ემილი დიკინსონმა უდიდები ზეგავლენა მოასდინა ამერიკული პოეზიის განვითარებაზე. იგი კრიკეტი პოლარიბას ქვების უიტმანთან დაპირისპირებისას. ეს არის უნატრიუსეი კამერული ლირიკა, რომელიც გამოიწვევა ჰაერივანი, ჰერეტითი ხასიათით. განვებ გაუბრალობული შეატვრული ხერხები დიდ ინტიმურ სითბოს და ბუნებრიობას ანიჭებენ მის ღვევებს, რომელიც შეუბუქი ირინითა და დიდ ლირიკული გრძებით არიან გამჭვიალული. კულტი მერი „მეტაფიზიკურს“ უწოდეს ემილი დიკინსონის პოეზიას და, მართლაც, მისი შეატვრული საცვები ძლიერ დაშორებული არიან იმ სინაზღვილეს, რომელიც აძლევდა ჸოეტურ შეაგონებას უიტმანს, შეატვრებს და სენდბერებს. ამ ტერმინთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჯურ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი ემილი დიკინსონის დამოკიდებულება ინტელიენციი მეტაფიზიკის პოეტების: — ჯონ დონის, ბიშოპ კინკის, ამრაპაშ კაულის, ჯონ ჟებსტერის და სხვათა შემოქმედავთან. აზრის გამჭვიალუა ემილით, აზროვნების ემოციურ პროცესად ქცევა, რახაც ტ. ს. ელიოტი მეტაფიზიკური პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებად ხთვლიდა, ემილი დიკინსონის პოეზიაში სრულიად ახლებურ ღლურს ღებულობს მისთვის დამახასიათებელია აკრეთვე ის შეუსაბამობა. შეატვრულ საცეცხს შორის, რომელიც ახასიათებდათ მეტაფიზიკოს ჸოეტებს. შეუფურუბელი, ერთი შეხვდვით გაუგებარი კონტრასტები, უწყველო შედარებები, შედარების შეუსაბამობა ცესადარებელ სავანთან, ყოველივე ეს საცნაურია მის ღვევებში.

ემილი დიკინსონი მშევდი, გარევნულად შეუმინველი ქსოვტებით ქსოვრობდა. მისთვის უქო იყო სოციალური პრიბლევატიკა და ის შემართება პოეტიტრიბუნისა, რომელიც ახასიათებს უიტმინსეტტის ტიპის პოეტს. მაგრამ მისი შინაგანი, სულიერი ქსოვტება მაინც გამოიწვეოდა შეაფრი დრამატიზმით. მართალია, მისი ჸოეტური სძა არსად არ გადაღის პაოეტურ ღლაღში, მაგრამ აპეკარად ჩანს მის ზოგიერთ ღვევეში, თუ რა დიდი სულიერი ქვრები გამოიარა მან. ზოგჯერ მის სტრიქონებში გამოსჭვივის ფარული ტრაგიზმიც, რომელიც არახო-

დეს ცდილობს მკითხველის ფურადღების მიპყრობას და არც არასოდეს „აღმართობის მიზანის მის ცნობისმიზეყვარეობას.

რობინსონის შემოქმედებაშიც ჩშირია უარესი ღრამატოზმის ერთგვარი „შენიბეჭვა“ გარევანი უბრალოებით. ხშირად იგი ძლიერ მარტივ თვეშის ირჩებს, რათა უფრო მეაფიოდ წინა პლანზე ემოცია. გარდა ამისა, მას სწერება ძლიერ ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებები. იგი რომანტიკობი პრეტების შეგვასად მხოლოდ „ძლიერი“ და „რეული“ აღამიანებით როდი ინტერესდება, არამედ უფრო მეტად აინტერესებს უბრალო აღამიანების სულიერი სამყარო, „ეპიზოდული“ აღამიანების შინებულობა, მათი განცდები, მათი თავისებურებანი (დესები „Reuben Bright“, „Miniver Cheevy“ და სხვანი). რობინსონის შემოქმედების ეს მხარე ნაწილობრივ ენათესება ედგარ ლი მასტერსაც, რომელმაც არააბელი ფსიქოლოგიური დამაჯერებლივით წარმოგვიჩინა შეა დასავლების ერთ-ერთი პატარა ჟაღაქის მკეობრთა შინაგანი სამყარო. შასტერნის წიგნი „სპუნ რივერის ანთოლოგია“, როგორც ვეჯ ითქვა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია ამერიკულ პრეზიდი. მასტერის თქმით, მისი მიზანი იყო, მოეცა ერთგვარი დანტებეული „დეთაებრივი კომედია“ შეა დასავლების პატარა ქაღაქის ცხოვრებისა. იგი ამ წიგნის აღამარტებს მიკალებულებს თავიანთ ცხოვრებაზე, თავიანთ განცდებზე, ზოგჯერ მათ ნაუპარები მიისმის მეაური შეიღება საზოგადოებრივი წყობისა, ზოგჯერ მოთქმა ამსოდელიური ამაოებისა და სხვა. მასტერის ვეტენის პერტების იმ პლატას, რომელთაც სკადეს დაპირისპირებოდნენ რომანტიზმის ტრადიციებს და „წმინდა ხელოვნების“ იდეალებს. მან ფართოდ გაუდი კარი უაველდღიურ, საყოფაცხოვრები თვეშის. მასტერისის დემოკრატიული პარტიის წევრი. შემდეგიმეობი ხდება შერნალისტი, მიერაცხოვებას. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უცდებებად „საყოფაცხოვრებო“ მოტივებისა, მასტერის პოეზია აღავა-აღავ სუნთქაეს მეტად ფაქტიზი ლირიზმით (მაგ. ლევსი „გორაკი“).

მსახავი ტენდენციებით ხასიათდება კარლ სფრდერგის შემოქმედება. სენდბერგი დაიბადა ილინოიში, 1878 წელს. იგი წარმოინიშით შევდა. ახალგაზრდობაში მან რამდენიმე პროფესია გამოიცვალა. 1910 წელს გახდა ხოციალური დემოკრატიული პარტიის წევრი. შემდეგიმეობი ხდება შერნალისტი, მიერაცხოვებასან-დევლამატორი, ლინკოლნის ბიოგრაფი. მისი პოეტური ხსია და შემოქმედებითი მანურა უიტბენს გვაერონებს. მისთვისაც უცხო იყო სიმბილიზმისათვის დამასახიათოებელი ეტერული ლირიკა, ლექსის მღრაღიანია, ფრაზის მუხიყალობა. მისი ლექსის ინტონაცია ბუნებრივ იხსინას უფრო უაღიასება. მისთვის

უცხოა უკუკელვარი ყალბი რიტორიდა და გრძნობებს აყოლა. სენდპერგმა ქაფა-
სი შემოქმედების ხასიათი შესანიშნავად მოგვცა ლექსი „არჩევანის კავშირის
ბრწყინვალედ განსაზღვრა აგრძოვე ახალი პოეზიის იმ ურთის თავისებურება,
რომელსაც თავად ჰქონილა:

ისინი ბევრს შემოგვთავაზებენ,
მე — სულ მცირეოდები.

მთვარის ლიცეუმი შეაღამის ბაღრევის ფონზე,
და წყლის რაჭაყაი თვლების მომევრელი,
გაშიშელებული მხრები, დამიღლი,
ხან ხიყვარული, ხან დალატი, ურთერის რომ სცელიან,
სიკედილის შიში, სინანულის კედავ დაბრუნება —
უკუკელვე ამას გთავაზობენ თქვენ —
მე კი მოვდივარ,

მომაქვს პერი მარილმოურილი,
მძიმე ჯაფის შედელი,
დაუცხრომელი ბრძოლა

და გეუბნებით:
აქა, აიღვა:

შემშილი,
საურისხე
და ხიძულებლი.

აქ შესანიშნავად მოსჩანს, თუ როგორ უპირისპირდება რომანტიზმისა და
სიმბოლიზმის განწყობილებებს ხალხიდან გამოსული პოეტის უხეში, მაგრამ და-
მაკერებელი ხმა.

მაკრამ სენდპერგი სხვა გურიალისაზე პოეტის მსგამად. მოვლენათა ზე-
დაპირით როდი კრაფულდება. ცხოვრების მისტერიები მასში აღმრავენ ბძლავის
წყაროებს შეცენებისას. იყი ხედავს, რომ შეცელებელია ცხოვრების ყვილა მოვ-
ლების სრული რაციონალიზმა. რომ არის ისეთი ამბები, „რაც ჩეენს ბრძე-

წესს სიუმრადაც ან მოლანდუბიათ". ეს ტენდენცია განსაკუთრებით შედეგდება ღვეუში „უდაბნო“: სადაც პოეტი ცდილობს ჩასწერება ადამიანის ქართველობა. იგი ხედავს, რომ შეუძლებელია ადამიანის ახსნა, როგორც მხოლოდ უშისუუბის უძრალი გარემოებისა. კინაიდან ადამიანში, ცორებური ინტენტებისა და ლტილების გარჩა, არის მაღალა, ხულიერი იღეალტე.

სენდბერგის ქათეტიკისათვის დამახასიათებელია ორაციონალიზმი. მისი თვალ-საჩინისით, ხელოვნება არ არის ისეთი ფუნამენტი, რომლის ახსნაც შესაძლებელია კრინიბადი, კრისიული საშუალოს მონაცემებით.

განსაკუთრებით მეაციოდ ჩანს ეს ტენდენცია ხებასტან ბაშისამი მიღლინილ ღვეუში „რიცხვების კაცი“, სადაც მშეკარაა სენდბერგის მიღრევილება ღვეულტისმისაც ყველ. სენდბერგის ძირითადი წიგნებია „ჩიკაგოს ღვეუშები“, „მურის მღეწავნი“, „კვამლი და ფოლადი“, „დილა მშეიღობისა, ამერიკავ!“ „ხალხი, დიახ“.

სენდბერგი იყო აერეოვე ხალხური ბალადების შემეროვებელი, იგი სწორდა პრო-ზაულ ნაწარმოებებსაც (ჩაგ. რომანი „მოგონების კლდე“, საბავშვი მოთხრობები, ლანკოლნის ბიორჩაუია და სხვ.).

პოეტ რეალისტებს შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდავთ რობერტ ფრისტა და ვენერი ლინდზის. რობერტ ფრისტისათვის უქთა ის ექსტრავაგანტური სისახლენი თემატიკაში, ვერსალიკაციაში და პიტერ სახეობა წყობაში, რაც ახახიათებს სხვა თანამედროვე ამერიკელ და ვეროპელ პოეტებს იმავე თაობისას. ჰეშმირიტი ნოვატორის დიდებულოვნებით აღჭრევილი, ფრისტი განსაკუთრებული ხილერთხილით წერგავს პოეზიაში ყოველივე ახალს, უწეველოს და, ამავე დროს, მისაღებსა და აღვევატერს თანამედროვე მეითგველისათვის. ნაწილობრივ ამითაც აის.წება მის მაგი ბოლორითოვანი ღვეუსს კულტივაცია, რომელსაც გაემიჯნა სხვა დანარჩენი თანამედროვე პოეტების უმრავლესობა. ფრისტის სტილი სადაა და გამჭვირვალე. ეს სისაღევე შერწყმულია სახეობა პოეტური და-ლაგების პარმინიულობასა და კომპლექსურობასთან. ფრისტის თემატიკაც კრისის შეხედვით, ახალს არაფრის გვაწვდის. იგი უშეტეს შემთხვევაში შემოფარგლებლია ბასტონალურ-იდილიური მოტივებით, მაგრამ მაინც იღრძნობა. რომ ეს ყოველი კი დანამედროვე პოეტის თვალით, მისი ღვეუშების უმრავლესობას ახახიათებს შევიღო, მედიტაციური განწყობილება, თუმც ფარული ემოციური და-ბაბულობაც ხშირად ხატაური ხდება: მის სტრიქინებში. ამერიკელმა პოეტმა და კრიტიკოსმა მარკ ვან დორენმა მოხდენილად სოქვა ფრისტის შესახებ: „იგი ფი-

ლოსიფიური პოეტი იყო, რაც მისი გაგებით ნიშნავდა ღრმა და ფაქტიზ გულა
შერწყმას ინტელექტთან, რომელიც მედამ დაეტებდა ღრმა აზრს ცხრილებით.
რობერტ ფრონტის ცნობილი წიგნებია „ბიტის სურვილი“, „ბიტონის ჩინტილი
ეთი“, „დასაცლეთიხაკენ ნაკადული“ და სხვანი.

ვერიდ ლინდზი (1879 — 1931) უაღრესად თავისებური ციფერაა ამერიკულ
ლიტერატურაში, იყო :რიფერით შეატვარი იყო, მაგრამ პარალელურად სწერდა
ლექსებსაც. მან შემოიტანა პოეზიაში უაღრესად მინოლითური, მკვეთრი სურა-
თოვნება, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს მისი ლექსების ინვათი შესიყალობა, რო-
მელთა უმეტესობაც სასიმღეროდ იყო განკუთვნილი. ლინდზის თავისულად შეიძ-
ლება ვერიდით პოეტი-ურმწერი, ვინაიდან მის ლექსებში მხატვრის, ფურმწერის
თავისი ჩირიად ჩრდილავს პოეტის თვალს. განსაკუთრებით ეს ითქმის მის ცნო-
ბილ ლექსუს: „ზანკური ქადაგება: სიმონ ლუკრი“. თუმც უნდა ითქვას, რომ ეს
ტენდენცია განსხვავდება იმავისტი პოეტებს ტენდენციებისაგან, რომელიც ასვე
ცდილობდნენ ლექსში სურათის, ხატის შემოტანას. განსხვავდება, ჩვენის აზრით, იმა-
ში მდგრამარეობს, რომ ლინდზისთვის ჩვენ ვჭედავთ თითქოსდა დასრულებულ,
ხორციელებულ ურმწერულ ტილოებს. ხოლო იმავისტებთან ხატი უფრო ჰაეროვა-
ნია, ხმირად გაბუნდოვანებული, ზოგჯერ მხოლოდ ემიცეური განწყობილებაა და-
ტოვებული, რომელსაც იწევეს რაიმე წარმოსახვითი ზმანება. გარდა ამისა, ლინდ-
ზი უმთავრესად იძლევა რეალისტურ სურათებს თავის ლექსებში, ხოლო იმავის-
ტები უურო ირალურ პლანში იძლევათ ხატს, მათი პოეზია უფრო იმპრესიო-
ნისტულ განწყობილებებს უახლოვდება. ვერიდ ლინდზი იყო სკელტონებანული
ფილოსოფიის მიმღვვარი, მას აქვს რამდენიმე ნაცროში ამ დარგში, რომელთაგან
გამოიიჩინება „სპრინგფლიდის ოქროვანი წიგნი“. მისი ცნობილი წიგნებია: „კონ-
გო და სხვა ლექსები“, „კალიფორნიის ოქროს ვერაპები“, „მშისაკენ სელა“ და
სხვანი. ეს წიგნები გამოვიდა 1914, 1920, 1923 წლებში.

ჩვენ ვცადეთ გვეპოენა განსხვავდა იმავისტის პრინციპებსა და ლინდზის შე-
მოქმედებას შორის. უნდა ითქვას, რომ იმავისტი დიდად გავრცელებული მამდინა-
რეობა იყო ათიანი და ოცანი წლების ამერიკულ პოეზიაში. ჩოგორც თვით სახე-
ლი მიღვითოთებს ამ მიმღვინარეობისა (image — ხატი), მისი მთავარი პრინცი-
პი იყო პოეტური ხახისათვის სტატიურობის, ხედვითი სიმევეორის მინიჭება. იმავისტებს ახასიათებდათ არეთვე ლექსიურ-მეტაფორული მისალის უზოგვარი
დისტილირება, ლირიკული გზების ერთვარი შეფარვა. იმავისტი პოეტები არაან,
როგორც უკვე ითქვა, ესრა პაუნდი, ჟილდა დულატლი (H. D.), ცმი ლიუველი

და სხვანი. ეზრა პაული რომანული ენების სპეციალისტია, მთარგმნელი, ფილოლიგი. მისი შემოქმედება კურ ჩავტეა ვერც გრით ნაციონალური ტერიტორიას ფარგლებში. იგი ისევე ირყანულად არის დაკავშირებული ჩინური ორგანის ტრადიციებთან, როგორც ანგლო-საქსურ ან პრივანსულ პორტიასთან. ჩინული, რომაული, შეა საკურნეთა კუროპელი პოეტების თარგმნასთან ერთად იყი ეწევა ერთგვარ შილდერისტულ სტილზეაციას, რითაც თანამედროვე ხულს უახლოვებს ძველი პოეზიის განწყობილებებს. ტ. ს. კლიმოტის აქმით, იყი არის „ვამოშვინონებელი ჩინური პოეზიისა ჩივენ დროში“. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, პაული შემოქმედებულ პოეზიას სთვლის თავის შემთხვეულ ნიადაგად. საუკეთესოდ არის ეს გამოხატული უაღმ ჩატმინთაღმი მიძღვნილ ლექსი „პაეტი“. ვარდა ამისა, პაული ცნობილია როგორც ქსებისტი, კრიტიკოსი. მისი ქსების წიგნია Polite Essays (1937), აგრეთვე ABC of Reading (1934). მისი ყველაზე პოპულარული წიგნია Cantos, რომელიც ჩვემს ენაზე გაღმიოთარებინება სიტყვით აქტანი. ეს არის ქებათა ხერია, რომელიც ჯერ არც უნდა იყოს დასრულებული.

იმავისტებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა პოეტი ჭალა პილდა დულოტლი, რომელიც ახდენს ძველბერძული ლირიკის ტრადიციების ერთგვარ მიღებისაკან. იყი ამავე დროს ცნობილია, როგორც საუკეთესო მთარგმნელი ძველბერძნი პოეტებისა. იყი იყო მეუღლე იმავისტი პოეტის რიჩარდ ლლდინგტონისა, რომელიც უურო ცნობილია როგორც რომანისტი. პილდა დულოტლი უურო ტიპიურია იმავისტია, ვიდრე პაული. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია „პელიოდისა“ (1924), „ევდლები ან იქცველან“ (1944) და „ხარი ანგლიზებისადმი“ (1946).

ჩვენი საკუუნის დასაწყისში აბარეზშე გამოსული პოეტებიდან განსაკუთრებით უნდა ალენიშნოთ უოლეს სტივენსი (1879 — 1955), უოლამ კარლის უოლამისი (1883), მერიენ შური (1887), რობინსონ ჯეფრისი (1887), ტ. ს. კლიმოტი (1888 — 1965), კონარდ ევენი (1889) და სხვანი.

უოლეს სტივენსი პროფესიით ადვოკატი იყო. იყი სრულად განცალკევებით დგას ამერიკელ პოეზიაში, მეტად როგორც მისი მიუუღენება რომელიმე მიმღინარებისადმი. ჩვენის აზრით, ჯეფრი შური ამათდ ცდილობს რომ იყი დაცეკვითოს ელგარ პოს ხაზს ამერიკელ პოეზიაში. სტივენსისათვის დამახასიათებელია სრულად ახლომური შერწეულა მუსიკისა და უერწერისა პოეზიაში, მაგრამ მუსიკასთან მისი დამოკიდებულება იმგვარი როდია, როგორც სიმბოლისტებისა, იყი ლექსის ბერით სტრეტურით როდი ცდილობს დახასლოვდეს მუსიკას. მის ლექსში უურო მსატკრულ სახეთა წყაბა და შინაარსი იწვევენ მუსიკალურ ასოციაციებს



(წიგნი *Harmonium*, 1923). მართალია, სტავენსისათვის უცხოა თვეოთი მუსიკის
გატაცება ასონამსებითა და ალიტერაციებით, ზაგრამ მისი ღვეუძეობის შესრულებულ
ქარაგავს კეთილგანვითა და აღმანიშნავია, რომ იგი, უროსტის შაგავსად კლასიკუ-
რი ღვეუძეობის პოზიციებშიც ჩინება.

შერიქ შერის პოეზია ემილი დიკინსონისა და H.D.-ის შაგავსად დაწმენდილო-
ბითა და დაბაძოზნის მონიკენებითი ხევიწრივით ხასიათდება. მისი ღვეუძეობი უფრო
შეიძლებაციური ხასიათისაა. მის შიერ ტიპოურაფიული ელემენტების ხსნება არასთ-
დეს გადადის სასტამბო ნიშნებით ერთგლიორობაში, რაც ხშირია ზოგიერთ სხვა
ამერიკელ პოეტ-მოდერნისტთა შემოქმედებაში. მისი წიგნებია „ბანკოლინი და
სხვა ღვეუძეობი“, „რანი არიან წიგნი?“ და სხვ.

ეილიამ კარლის უილიამსი (1883) თავდაპირველად იმავისტების ურთას
კურვენოდა, იგი განვეღილა გამსაკუთრებით პუნდის გავლენას. შემდეგ კი ჩა-
მოშორდა იმავისტების. მის პოეზიას ახასიათებს „წიგნიდა“ ამერიკული სპეციალუ-
რობა, რამდენადაც იგი ცდილობს დაუპირისპირდეს ერთობელ და მსოფლიო ტრა-
დიტორებს. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, იგი ცდილობდა „აღგაღობრივ პირობებ-
ში ხელახალ აღმოჩენას პირველადი იმპერატორას, ხელოვნების ელემენტარული
პრინციპისას“.

მისი წიგნებია „გაშაფტელი და ჰილაუერი“, „სიკუარული და მოგზაურობა“.

რობინსონ ჯეფერსის პოეტური სამყარო გვიტაცებს თავისი უჩვეულობით. იგი
დაიბადა პიტსბურგში 1887 წელს ბურგუაზიული ფილისტერული საზოგადოების
გულარინილობაში და ბანალურია მატრიკალიშმა, გაშიშვლებულმა ჰტილიტარიზმ-
მა ჯეფერსში აღძრა მძღვანი პროტესტის გრძობა და ამიტომ ხშირად მისი
სტრიქონებიდან მიგვესმის სრი ადამიანის ბუნებრივ სიქვედებში დავჭიბული კა-
ცისა. ჯეფერსი დაიბადა კლასიკური ფილოლოგიის პროფესიონალის ჯავახში. იგი
თავად უდიდესი მცოდნეა ანტიური პოეზიისა, თეატრიკაში იგი ხშირად მიმარ-
თავს ანტიურობის თემებს. მისი თავისუფალი ღვეუძეობები უტრებს ელემენ-
ტა. იგი გამოიჩინეა საოცარი დინამიურობით, გამწყობილებათა და სახეობა ქაოტი-
ური აღრვევის ნიღაბქეფში იმაღლება დიდი შინაგანი მიწესრიგებულობა ღვეუძე-
ობის კომპოზიციური მიმღირარეობისა. ჯეფერსშია ახლოურად დამუშავა როგორებისა და
ელემენტრას ღვეუძეობა აგრეთვე შედგას თემა. მისი სხვა წიგნებია „მკედრებთან
ჩახვლა“ (1931), „მიეცით თქვენი გრელი ქორებს“ (1933), „გაუწყერით შექს“
(1941) და სხვა.

ტომას სტერის ელიოტი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოეტადაა



აღიარებული. წარმოშობით ივი ამერიკის შეერთებულ შტატებს ვეზენემარქტი 1914 წლიდან ინგლისში ცხოვრობდა უმეტესად და 1927 წელს მიიღო ინგლისში შოქალაქეობა; ელიოტი იმავე მიუხშით გამოიყეა ამერიკას, რა მიუხშითაც განმარტოვდა თავის კომერცი რობისთვის ჯეფერის, რომელმაც გონივრების ცხოვრება აჩინა დღევანდველი ამერიკის ლიტერატურულ ბისწესში ჩაბმას. თუმც უნდა იქტვას, რომ უატანინდან დაწყებული, დიდი ამერიკელი პოეტები მუდამ ასხავებდნენ იმ ამერიკას; კრის — დიდი ჟუმანისტი მუქრლებისა და მოღაწეების ამერიკას და მეორეს — ლინკოლნის მცველება და ლინის კანონის შემომძებს.

მართალია, ზოგი კრიტიკოსი ცდილობს გამოატაციოს ელიოტი მხოლოდ ინგლისური პოეზიის კუთხიობებად, მაგრამ ჯეფრი მერი ძლიერ დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ თვით ინგლისში ყოფნისას და შემაობისას ელიოტი ინარჩუნდა პირწმინდა ამერიკულ ს'კუილურობისას. მერის აზრით, „ალფრედ პრუუროვის სამიზნურო სიმღერაში“ გარემო მერიკელია, გმირი უფრო ამერიკელია თავისი ფინანსურით, თავისი ამოცალიერით. იგივე ითქმის არა მარტო მის სხვა ადრეულ ლექსებში („პრელუდიები“, „ქარისი დამის ჩატსოდია“, „სუინი მებრიძოლი“ და სხვ), არამედ „ოთხ კვარტეტშეც“, რომელიც უფრო გვიანდელ პერიოდს ვერთვის (30-იან წლებს). „ოთხ კვარტეტში“ ნახევრები დიდი მდინარე, რომელსაც პოვტი აკავისურ, პირქერ ღმერთს უწინდებს“, ჯეფრი მერის თქმით, მისიხიპია, სადაც ელიოტი ხშირად ნაოსნობდა მასაჩუსეტსის კლდოვან ნაპირთან.

მერი აკრეთვე ცდილობს ელიოტის პოეზია დაუნათესავოს იმავისში და ურა პაუნდს, მისი აზრით, ელიოტის პოეზიის ქრისტიანული უმთავრები მახასიათებელია ვიზუალობა. ჩევნის აზრით, ეს ქრისტიანი ტექნიკურობაა მისი მშრით, რათა გაამართლოს თავის მიერ წინაშეარ შემუშავებული დასულება. ამის თქმა შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ ადრეულ ლექსებში და არა მოედს შემოქმედებაზე. მერის წოაკაც ელიოტის ციტატა, სადაც ელიოტი ამჯობინებს „დანტეს გარკვეულობას შესსპირის ბუნდოვანებას“. რატომ უნდა დავასკნათ, რომ აქ საქმე გვება ვი ზეა და ურ გაურკვეულობაა? ჩევნის აზრით, აქ უფრო აზრისა და განშეყობილების გარკვეულობაა გრელისხმობს პოეტი.

მომღევნო თაობის პოეტებს შორის უნდა აღინიშნოს აჩინიბოლდ მაკლიში (1892), ჯონ პილ ბიშოპი (1892 — 1944), ვ. ე. გამინესი (1894), ოლენ ტეიტი (1899), რინარდ უპერსარტი (1904), სტენლი კუნიფი, ელიზაბეტ ბიშოპი (1911), მიურიკელ რევისური (1913), კარლ ბაპირო (1913), რენდოლ ჯერედი (1914), ტეოდორ როეტკე (1908), რობერტ ლოველი (1917) და სხვანი.



ვ. ე. კამინგის პეტრის საექსეპიოთ ახლებურ სტილს, რაც გამოიხატება მის მიერ და მის მიერ საექსეპის უნაურ დანაწერებაში: იგი არღვევს სინტაქსს, სიტყვების ნაცვლად ხშირად ხშირად მარცვლებს, იშველიებს სასტამბო ნიშნების უწყერელობისადმით მიღებულ ეფექტებს. იგი პეტრის საექსეპის პერსონაჟებს, ირეალურ არაადამიანურ არსებებს, პეტრის ასეთსაცემ უანტასმაგრისულ სიტუაციებს. ევროპულ პოეზიაში ამ შეზრდა მას შეიძლება დაუწენაოფენა გერმანელი თანამედროვე პოეტი ქრისტიან მირგვანტვინი. თუმც უნდა ითქვას, რომ კამინგისისუის უქოთა მირგვანტვინის დიდი უილოსოფური სიღრმე, კამინგის უანტაზის უწყერელობის საჭყასი, ჩვენის აზრით, ჯურ კიდევ ელგარ პოსთან უნდა ვეძიოთ (იგულისხმება ლექსი „უდალუმ“ და სხვანი).

ოლენ ტეიტი გამოჩერილი პოეტი და დიდად საყურადღებო კრიტიკოსია. მისი პოეტური პოზიცია განსაზღვრა მისი ესსების წილში, სადაც იგი უპირისისტიდება რომენტიკისის მანერულობას (ულიოტის შეგვასაც) — კლასიკიზმის პოზიციებიდან. ჯეფრი შერი ელგარ პოს უკავშირებს მის პოზიციას. ელიზაბეტ ბიროპს შეტაც თავისებური მანერა ახასიათებს. რაც გამოიხატება მისი ლექსების, ასე ვთქვათ, ურბანისტურ ფანტასტიკაში. ჯეფრი შერის კარგად აქვს შენიშვნული კაფ-კასტელი პესიმიზმი ბიროპს შემოქმედებაში, რომელიც თავს იჩინს დიდი ქალაქისა და პიროვნების დაპირისპირებისას (ლექსი „ადამიანი-ხოჭო“). კარლ შეპირო და რენდოლ ჯერელი უიტმან-სენდბერგისეულ ჩატს აღრმელებუნ, ისინი არ განიხილავნ მიეღუდებს და სავარეს „შეზრების“ ფალსარისით. უერნალისტური პოზიცია მათში ახლებურად გრძელდება.

ახალ ამერიკულ პოეზიაში შეიმჩნევა, როგორც ეკვ აღინიშნა, ძირითადად, რომ მიმართულება. ერთი მათგანი დაკავშირებულია უკტმანთან და მისი ტრადიციების გამერტებულებულ პოეტებთან, ხოლო შეორე — ემილი დიკინსონთან. პოეტი-რეალისტები უფრო უძინასიერ ხაზს უკვეთონან. მინმენელოვანი პრობლემაა, ჩვენის აზრით, აერეთვე იმის გაშექება, თუ რა მიმართება ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურებს შორის, ამ ფალსარისით განხილულ უნდა იქნენ ამერიკელინგლისელი პოეტები. რომელიც თრივე ქვეყნის ლიტერატურის ისტორიას კუთხით (მაგ. ტ. ს. ელიოტი). ეს შესაძლებლივია მოვცემს უფრო ზემტად განაცას საღვროთ ამერიკული პოეზიის სპეციურა. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „რენესანსი“ არ უნდა იქნეს გაგებული ლიტერატურული მიმდინარეობის ან დაკავშების გაგებით. ეს არის უფრო პერიოდის სახელწოდება, როდესაც დაიწყო აღმავლობა ახალი ამერიკული პოეზიისა, არ არსებობს რაიმე

საქრთო დედამისია, ან ბაშიფეხტი, ან თუნდაც ქსოვეტიური კრეჭოსაზომიერი აერთიანებს, ამ ხანის პოეტებს, მათი კონცეპტორია, მისი იულიუსელველია, მათი სტილი დიდად განიიჩინა ურთიერთისაგან. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ გარკეპულ დაჯგუფებებშე, როგორც მაგ. „ომაეისტები“ და „პოეტი რალისტები“. მაგრამ ამავე დროს არიან პოეტები, რომელნიც განცალკევებით დგანან, არ ვეუღინიან არც ურთ დაჯგუფებას. ამითომ ტერმინი „რენესანსი“ ლიტერატურის ისტორიკოსებისა და ქრიტიკოსებისათვის უფრო ხელსაყიდველია, რათა გამსაზღვრულ იქნეს გარკეველი ურთილის თავისებურება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი (მაგ. ფ. შატრევენი) ტერმინს „ამერიკული რენესანსი“ უფრო უართო გავტონით ხმარობს, კერძოდ, XIX საუკუნის ამერიკას აზროვნებასთან და შეუძლობასთან დაკავშირებით (ემერსონი, პოლონი, ჯეიმზი და სხვ.), მაგრამ ამ შემთხვევაში ტერმინი „რენესანსი“ ჩვენს მიერ ნახმარია სრულიად სხვა გაფეხით.

ჩვენი წინასიტყვა მიზნად ისახავდა იმ ამერიკელ პოეტთა მიმოხილვას, რომელნიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ საშუალო ახარებზე. მიმოხილვას, ტაბადა, ინტორმაციული ხასიათი უფრო აქვს, ვიღრე კვლევითი. ჩვენ ვუდეთ მიღვენიშნებინა ძირითადი მაგისტრალური გუბა, რომელიც მიემართება თანამედროვე ამერიკული პოეზია, ზოგადი შტრიქისგით დაკვებასათვებინა მათი მრწამსი, მათი შემოქმედებითი სტილი და მეთოდი. მათი ღვეულების ქართული თარგმანები კი აღმართ უფრო შეტანილი გავტყვან ყოველივე ამის შესახებ.

ზოგად გამსახურდია

გემების ქალაქი!

ო, შავი გემები, პირქუში გემები!

ო, მშვენიერი ქიმწამიხული გემები და ხომალდები იალქნიანი!).

მსოფლიო ქალაქი! (ყველა რასები აქ აღრეულან,
დედამიწის ყოველ კუთხეს შეაქვს წვლილი მის ცხოვრებაში).

ჟოუათა ქალაქი! — ასვავებული, ქუმრმდგარი მოქცევის ქალაქი!
ქალაქი, სადაც გაშმაგებული ზღვა გამუდმებით ასკდება ნაპირს
და უკან იხვეს წყალმრუნვით და ქაფის შხეილით!

სავაჭროების, ნაესადგურების ქალაქი! — მარმარილოსა და

ფოლადის ცათამწვდენი ფასადების ქალაქი!

ქალაქი ყიფი და ვნებიანი — შეუპოვარი, ცოფიანი, ექსტრავაგანტი!

შენ აღმოცენდი, ო, ქალაქო — არა მხოლოდ მშვიდობისათვის,

ემსგავსე შენს ჭეშმარიტ სახეს, ომისმწყურველო!

ო, წე შედრები — მიპბაძე მხოლოდ საკუთარ მოდელს და არა
სხვისას!

მომხედე მე — იყავ ხატება ჩემი, ვით მე ვარ შენი ხატება!

იყი, ვინაც შენ შეიცრდომე, მეც შევიცრდომე,

ავი თუ კარგი, არ განმიკითხავს — მე მიყვარს ყველა

და არაფერს არ ვსჭი აუგად,

მივესალმები, ვუმდერ ყველას და ყოველივეს, რაც კი

შენია — ყოველივეს, მშვიდობის გარდა,

2. ამერიკელი პოეტები

სამართველოს
უროვნელი
ჩირალიონი

მშვიდობას ვუმღერ მშვიდობისას, ამჟამად კი დაფუძაფი მიხმობს,
ჩემი სიმღერა ომად, ხისხლისმღერელ ომად მოედო და გადა
შენს ქუჩებს, ქალაქო!

პოსმოსი

იგი, ვინც შეიცავს ნაირსხვაობას და ვინც თავადაა ბუნება,
ვის არსობაშიც გლინდება დედამიწის ამპლიტუდა, მისი სიმჭისე,
სექსუალობა, მისი ღიადი შემწყნარებლობა, წონასწორობა,
იგი, ვისთვისაც მარად უცხოა არარაობის თვალთა ღიად შოგნილი
სარემლები, ან ვისი ტკინიც წილნაყარია არარაობის
მაცნეებთან,

ვინც შეითავსებს რწმენასა და ურწმუნოებას, ვინც თავადაა
მიჯნურთა შორის უდიდებულესი,
ვისაც დაუთქვამს: სამებით სრული პროპორცია რეალიზმის,
სპირიტუალიზმის, უსთეტიკის და ინტელექტის,
იგი, ვინაც შექქმნა ტანი და განსაზღვრა ყველა ასონი და
ორგანონი როგორც თანაბრად კეთილნი,
იგი, ვინც მიწის ან საკუთარი სხეულებრივი რაობის
თეორიით განჭვრეტს რთულ ანალოგიათა მეშვეობით სხვა
თეორიებს,

ქალაქის, ლექსის, ან სხვადასხვა სახელმწიფოთა დიდ
პოლიტიკის თეორიებს,

იგი, ვისაც სწამს არა შარტო ჩვენი სფერო, საკუთარი
მზით და მთვარითურთ, არამედ სწამს სხვა სფეროებიც
საკუთარი მშეებით და მთვარებითურთ,

იგი, ვინც გვეგმავს სახლს თავისთვის, და განა თე ერთი

დღისათვის, მთელი შემდგომი დროისათვის, სჭვრეტს რამესა,
ერებს, რიცხვებს, თაობებს,
წარსული და მომავალი მკვიდრობენ მასში, ვით მთელი
სივრცე — ერთიანი, განუყოფელი.

იმპერიალისტური საზოგადოებრივი მომსახურის
სამართლებრივი მინისტრი

შპრალი შეძაბისადმი

მშვიდად იყავი, მოიქეცი ჩემთან თამამად, ეს
მე ვარ, უოლტ უიტმანი, უხვი და ვნებიანი,
როგორც ბუნება. ვიდრემდის შენ მზე არ უარგყოფს, არც
მე უარგყოფ, ვიდრემდის წყალნი არ შესწყვეტენ შენთვის
ლივლივს და ფოთლები შრიალს,
ჩემი სიტყვებიც არ დაშვრებიან შენთვის
შრიალით და ლივლივით.
ჩემო გოგონი, გითქვამ პაემანს და გავალებ
იყო მომთმენი და სრულყოფილი, ვიდრემდის
მოვალ,
მანამდის კი მოგესალმები მრავლისმთქმელ მზერით,
რათა მოსვლამდის არ დამივიწყო.

რა ვარ ნეტავი

რა ვარ ნეტავი ბოლოს და ბოლოს, თუ არა ბავშვი, რომელიც
ხარობს საკუთარი სახელის გაგონებით? — იმეორებს და
იმეორებს მას.
ვდგავარ და ვუსმენ — არასოდეს ვიღლები ამით.

თქვენთვისაც იგივეა თქვენი სახელი;

არასოდეს გიფიქრიათ, რომ ეგ სხვა არაფერია, თუ არა მომოქმედი და იგივე სიტყვისა?

მანაკარია

მე ვეძებდი რაიმე სრულყოფილს, შესაფერის სახელს ჩემი
ქალაქისთვის

და ამ დროს — დაბე საოცრებას! — აზრად მომივიდა ამორიგენული
სახელი.

ახლა კი ვხედავ, რას ნიშნავს სახელი, სიტყვა, — ქართვანი,
ჯანსაღი, დაუთრგუნავი, მესიკალური, თვითკმაყოფილი;

მე ვხედავ, რომ ეს სიტყვა ჩემს ქალაქს ძველთაგან მოსდევს,

მე ვხედავ ამ დიდებულ სიტყვას ჩაბუდებულს ზღვის ყურეებში,
მდიდრულს, ფართოდ შემოღობილს გემებისა და იალქნების ხშირი
მესერით, სამოცი მიღის სიგრძე კუნძულს, მყარს,

საფუძვლიანს,

ჲა, ურიცხვი, ხალხმრავალი ქუჩები, ფოლადის მაღალი
ნაგებობანი, მძლავრი, კაფანდარა, ჰაეროვანი

შენობები, ლაჟვარდ ცაში რომ აღმართულან.

სწრაფი, წყალუხვი მოქცევები, ჩემი საყვარელი

მოქცევები, ჩამავალ შზისკენ რომ ისწრაფვიან.

ზღვაზე — გაშლილი დინებები, პაწია კუნძულები, უფრო

მოზრდილი მაერთი კუნძულები ბორცვებით, ვიღებით;

აურაცხელი ანძები, თეთრი სანაპირო კატარლები,

ლიხტერები, ბორნები, შავი, მყარად ნაგები

საოკეანო გემები,



ქალაქის ცენტრალური ქუჩები, საქმიანი დაწესებულებანი,
ზღვაოსნების, ვაჭრების, ბირჟის მაკლერების

დაწესებულებანი, მდინარის სანაპირო ქუჩები,
გადმომსხდარი იმიგრანტები, კვირაში ოცი თუ ორმოცი ათასი,
საქონლით დატვირთული ფორნები, ცხენოსანთა ვაჟკაცური მოდგმა,

სახეგარუჯული მეზღვაურები,

ზაფხულის ჰაერი, ცხრათვალა მზე, ცაჟე ღრუბელთა იალქნები,
ზამთრობით — თვევლი, მარხილის ეკვნები, მდინარეზე — გამდნარი
ყინული, აღმა და დაღმა რომ დასცურავს მოქცევასთან
და უკუქცევასთან ერთად.

ქალაქის მექანიკა, ხელოსნები, — მყვრივად მოყვანილი,
პილმშვენიერი მამაკაცები, თვალს რომ იოლად გაგიმართავენ.

ხალხმრავალი ტროტუარები, ტრანსპორტი, ბროდვეი, ქალები,
მაღაზიები და ვიტრინები —

მილიონები — თვეისუფალი და მოხდენილი მანერები — გულღია
ხმები — სტუმართმოყვარეობა, — ვაჟკაცური, გულითადი
ახალგაზრდობა!

აზვირთებული და მჩქეფარე წყლების ქალაქი! გემებისა და
ანძების ქალაქი!

ზღვის ყურეებში ჩაბუდებული ქალაქი! ჩემი ქალაქი!

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! დასრულდა ჩვენი მძიმე მეზავრობა,
გვეღირსა ცის გასხივოსნება,

¹ იგულისხმება პრეზიდენტი ალაპაშ ლანჯოლი.

ხომალდმა გაუძლო ღელვებს და გრიგალებს, ჩვენი საწყვეტო
ასრულდა ოცნება,

ახლოა ნაპირი, მოისმის ზარები, ისმის მოზეიმე ხალხის ერიამული,
თვალები მისდევენ ხომალდის მტკიცე ქიშს, ფრიალებს ალაში
სისხლით დანამული,

მაგრამ გული! გული! გული!

სისხლის გუბე შესაზარი!

გემბანზე ხომ კაპიტანი

ასვენია ცივი, მკვდარი.

ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! აღსდექ და ყური მიაპყარ ზარებს;
აღსდექ — დღეს შენთვის ფრიალებს დროშა, შენთვის ვაჭეხებთ
ძლევის ნაღარებს,

ეს გვირგვინები, ბაფთიანი ყვავილწინულები შენია, შენი!

შენ გიხმობს ხალხი, ეს ზღვა ხალხი, შენა ხარ მისთვის შევების
მომვლენი!

ჩვენო კაპიტანო, მამავ საყვარელო!

ჩვენთვის აღარ დარობს დარი,

ეგებ სიზმარია, რომ შენ ამ გემბანზე

გართხმულხარ ცივი და მკვდარი?

მაგრამ კაპიტანი აღარ მპასუხობს,

დადუმებულან უსისხლო ბაგენი,

მამა საყვარელი ვერ გრძნობს ჩემს შეხებას,

მის მაჯისცემასაც ვეღარ მივაგენი,

იზეიმეთ, ნაპირებო,

მე კი მმართებს ჩემი ზარი,

გემბანზე ხომ კაპიტანი

ასვენია ცივი, მკვდარი.

მოახლოებულო, კარზე მომდგარო საკვირველებავ,
 შენ, ბუნდოვანო, გაურკვეველი სპექტრო, მითხარი — სიკვდილი
 მოგაქეს თუ სიცოცხლე?
 ძალა, სისუსტე, სიბრმავე თუ უფრო მძაფრი
 პარალიზი და სიმძიმილი?
 თუ მოწმენდილი, მზიანი ზეცა? იწუბჩუხებენ კიდევ წყლები?
 ან იქნებ მოკლედ მოსჭრი ჩემს საქმეს? ან იქნებ მტოვებ
 ასე, ამგვარად,
 მოსაწყენ, ბებერ თუთიყუშად, გაბზარული ხმით მობჟუტურეს
 და მოხრიალეს?

ახლა, როცა ვწერ

ახლა, როცა ვწერ, მოხუცებული და ავადმყოფი,
 ლოდად მაწვება გულზე ის, რომ წლების სიმძიმემ, ხასიათის
 მოქამულობამ,
 უწყალო სევდამ, ტკივილებმა, ლეთარგიამ, ყაბზობამ
 და მომწყვლელმა დარღმა
 შეიძლება გამოეონოს ჩემს ყოველდღიურ სიმღერებში.

გაზაფხულს სრვევია ნათელი

გაზაფხულს სჩვევია ნათელი,
უწევევი წლის ყველა დროისთვის,
იგი ბუნებაში გაჩნდება,
მარტი რომ გრიგალებს მოირთავს.

რაღაც ფერი ჩნდება უეცრად,
შორეულ ლივლივა ტატნობზე;
იგი სწავლულთათვის უცხოა,
კაცის ბუნებისთვის — საგრძნობი.

იგი გველოდება მდელოზე,
შორეულ ხეებში გუბდება,
შორეულ აღმართებს ატყვია,
თითქოს კიდეც გვესაუბრება.

მერმე ჰორიზონტებს გაპყვება,
ან შეადღევებში ზავდება,
არც კვალს, არც ფორმულას არ სტოვებს.
ჩვენთვისაც უდროოდ თავდება.

არის დანაკარგი ერთგვარი
გულისტკივილი შინაგანი,

თითქოს სოფლაგარმა გაპყიდა
 წმიდათაწმიდა რამ საგანი...

ჩიტი გაღმოშრიდა გილიკზე

ჩიტი გაღმოშრინდა ბილიკზე,
 მე თვალს ვაღევნებდი ჩუმად,
 ჭია გამოქექა, გაწყვიტა
 და ასე მიირთვა, უმად.

შემდეგ შეისრუტა ნამი
 იქვე, ბალახიდან, და საფრად
 გზისპირა ყორეს მიაშურა,
 ბზიკის დასაჭერად ჩასაფრდა.

თან მოუსვენარი თვალები
 მიდამოს მოავლო ბეჭითად,
 შემქრთალ მძივებს პგავდნენ ბრჭყვიალით,
 თავი — გლუვი გიშრის ბეჭედი —

შემოატრიალა შემქრთალმა,
 მე მას შევთავაზე მარცვალი,
 გაშალა ურთები და გაურინდა
 უხმოდ და გელის ფანცქალით.

ასე ნაცადი ნიჩბოსანი
 გააპობს დავერცხლილ დინებას,
 ასეთი სიფრთხილით პეპელა
 დილით ყვავილს მოევლინება.

მინევერ ჩივი

მინევერ ჩივი, უამთა მოზარე,
ერკინებოდა საწუთროს მუხთალს,
ქვეყნად გაჩენას მოსთქვამდა მწარედ,
ნიადაგ სწუხდა.

მინევერს სწვავდა წარსულის ეშჩი,
ხმალთა კვესება, მხედართ ყიჯინი,
(ლომგულ რაინდთა ზმანებით შემლა,
და ცეკვის ეინი).

მინევერს სწამდა, რაც აღარ იყო,
ეზმანებოდა წარსულის ძვრები;
კამელოტის და თებეს გარიყვა,
პრიამეს მტრები.

იყო მოზარე სსვათა დიდების,
მრავალ სიბრძნეთა მცნობი, უფალი,
ხან რომანტიკის გაბედითების,
ხან ხელოვნების ჭირისუფალი.

უყვარდა ძლიერ მედიჩის გვარი,
თუმც არ ენახა თვალით აროდეს,

ეზმანებოდა ცოდვილთა ჯარი,
 აწ და მარადის.

შინევერ პეტობდა აზრებს ბანალურს,
 სძულდა კოსტუმი ხაკის, თამოსი,
 მას შემართებას მედიევალურს
 ჰგვრიდა ფოლადის, ჯაჭვის სამოხი.

შინევერს სძულდა ოქრო წყეული
 (თუმც, უმისობაც არ ახარებდა),
 და ხშირად, ოქროგამოლეული,
 ღამეებს ფიქრში გაატარებდა.

შინევერ ჩივი, გვიან შობილი,
 ხშირად ფიქრობდა, ხშირად ფიქრობდა.
 ცეცხლი თუ ხწვავდა ჩაუტობელი,
 ღვინით იქრობდა.

ბრძანი

სად არიან ელმერი, ჰერმანი, ბერტი, ტომი და ჩარლი,
უნებისყოფო, მელავმაგარი, პამპულა, ლოთი და ჩხუბისთავი?
ყველას, ყველას სძინავს გორაკზე.

ერთი ციებ-ცხელებას გადაპყვა,
მეორე მაღაროში ხანძარმა იმსხვერპლა,
მესამე ჩხუბში მოკლეს,
მეოთხე ციხეში მოკვდა,
მეხუთე ხიდიდან გადმოვარდა ცოლ-შვილისათვის შრომაში
გართელი,
ყველას, ყველას სძინავს, სძინავს, სძინავს გორაკზე.

სად არიან ელა, კეტი, მეგი, ედით და ლიზი?
გელთბილი, გულით ალალი, მოუსვენარი, გულამაყი და ბედნიერი?
ყველას, ყველას სძინავს გორაკზე.

ერთი სირცვილეულ მშობიარობას გადაპყვა,
მეორე უარყოფილ სიყვარულს,
მესამე ვიღაც არამშადამ დაახრიო ბორდელში,
მეოთხე შეგინებულმა ნამუსმა იმსხვერპლა გულისწადილის ძებნისას,

მეხუთე — უკეთესი ცხოვრების ძიებაში პარიზში, ლონდონში,
იქიდან გადმოასცენეს თავის პაწაწინა ფართობზე ელასთან
კეტისთან, მეგისთან, —
ყველას, ყველას სძინავს, სძინავს, სძინავს გორაკზე.

სად არიან ბიძია აიზიკ და დეიდა ემილი,
სად არის მოხუცი ტაუნი კინსედი, სევინ ჰოუტონი,
მაიორი უოკერი, ვისაც ოდესლაც უსაუბრია
რევოლუციის სათაყვანებელ გმირებთან?
ყველას, ყველას სძინავს გორაკზე.

მათ გვერდში მიუწვინეს ომში დაღუპული ვაჟები,
საწუთოობიმცდარი, შორს გადახვეწილი ქალები,
მათი ბავშვები სტირიან უდედმამოდ, —
ყველას, ყველას სძინავს, სძინავს, სძინავს გორაკზე.

სად არის მოხუცი მეეიოლინე ჯონსი,
სიკედილთან რომ თამაშობს თავისი ცხოვრების ოთხმოცდაათი
წლის მანძილზე,
წვიმაში, თოვლ-ჭყაპში მეერდგაღელილი რომ გამოდის,
ლოთობს, ონბაზობს, ცოლი არ აწესებს და შვილი,
არც ოქროზე ფიქრობს, არც სიყვარულზე და არც ზეცაზე,
ჩუ! იგი ისევ შარშან დაჭვრილ ლიფსიტებზე ყბედობს,
დიდი ხნის წინათ გამართულ დოღებზე კლეირის ჭალაში,
და ჰყება ეიბ ლინკოლნის მიერ
ერთ დროს სპრინგფილდში მოყოლილ ამბავს.

თუმც უბირი ვარ და უცნობი, ჩემგან მოისმის
 მარადიული, უწევულო მუსიკის ხმები:
 „არავის მიმართ ავი ზრახვა, ყველას მიმართ ქველმოქმედება“.
 მილიონების შენობა ვარ,
 ნაციის სახე, გაბრწყინებული
 სიქველით და ჭეშმარიტებით.
 ეს მე ვარ, ენი, ამ ბალახევეშ მძინავს ამეამად,
 მე სიცოცხლეში შევეყვარდი აბრაძამ ლინკოლნს,
 ჩვენ დავქორწინდით განშორებით
 და არა შეყრით.
 დაუ, პყვაოდეს რესპუბლიკა სამარადისოდ
 აი, ამ მკერდზე დაყრილ მტვერში სარობდეს იგი.

¹ გალმოცემის თანახმად აბრაძამ ლინკოლნის მიენცრის.

ნოვებრის სტუმარი

ჩემი შწუხარება (როდესაც მეწვევა და ჩემში სახლდება), — ფიქრობს შემოდგომის უნათლო დღეებზე, მომქანცველ წვიმაზე, როს სიმშენიერე ბუნების კვდომისა ისევ განახლდება, მას უყვარს აღვების ჭინობა ვერცხლისფერი და ცად ამაღლება, ჩვენს მიერ მრავალგზის გათელილ მინდვრების ნესტი და სინაზე.

მისი სიამტებილე აროდეს მშორდება და მეც, უდრტვინველი, მისი მოსალბუნე საუბრის სმენისგან არასდროს ვიღლები, და მას უხარია, როდესაც ჯგუფ-ჯგუფად გვტოვებენ ფრინველნი, და მას უხარია, როდესაც ფერები — რუხნი, საკვირველნი, ვერცხლად იქცევიან ირგვლივ შემომდგარი, ფაფუკი ნისლებით.

შაშინ გაძარცველი ხეების მოწყენა, ის ჩუმი ნაღველი, მიწა გადამჭკნარი და შავი ღრუბლებით ცა დამძიმებული, — ყველა ეს შშვენება, მისგან კეშმარიტი სისავსით ნახული, ისევ აღუქმელი პგონია ჩემს სულში და ღრმად დამარხული, იღუმალებისთვის მომითხრობს კვლავ და კვლავ, სიამით ვნებული.

რამდენი ხანია, რაც მე შევიყვარე, და რაც შევითვისე, ნოემბრის დღეები, ჩუმი, გაძარცველი ნოემბრის დღეები, პირველ მოთოვამდე რომ იბინდებიან მდუმარე ტყვები, მაგრამ ამაო ყველა დარწმუნება ჩემთვის და მისთვისაც, რადგან მისი თვალით სხვაა ეს ქვეყანა და ეს სივრცეები.

ერთნი საწყაროს დასასრულად ცეცხლს გვიქადიან,
მოროვი — გამყინვარებას.

როცა ვიხსენებ, თუ რა მწადდა და რა მწადიან,
ვემხრობი მათ, ვინც აღსასრულად ცეცხლს გვიქადიან.
მაგრამ თუ ორგზის შეგვებსნება ნგრევის კარები,
მე სიძულევილსაც კარგად ვიცნობ, ახლა რომელიც
მაფიქრებინებს, რომ ნგრევისთვის გამყინვარება
ძალა არის არანაკლებ განუზომელი.

გარემონტი

ქარს ეუბნებოდა თქეში:

„გასწი და წამოვალ ჩქარი“.
ბაღს შემოაცალეს ნეშო,
ყვავილთათვის დადგა ზარი;
ცოცხლებს ქვეშ გართხმოდათ მიწის შავი ლები.
მე ვიცი, რას გრძნობდნენ მაშინ ყვავილები.

PERTINAX¹

დედ ქაოსი ალიძრას გოდებით,
დედ ღრუბლები შედრენენ ცეცხლმოდებით,
მე მაინც ფორმას ველოდები.

¹ სიტუიცი (ლათ.).

მშვიდი ოქტომბრის მოალერსე, მყუდრო დილათ,
მომწიფებულან დასაცვენად შენი ფოთლები;
ხვალინდელ ქარში გარინდებულ გზებს დაწრდილავენ
ჩუმი ოცნებით...

ტყეზე ყვავების ყრანტალია დამაოსები,
ხვალინდელ ქარში დასტოვებენ ალბათ ბედეებს,
მშვიდი ოქტომბრის მოალერსე, მყუდრო დილათ,
დღევანდელი დღის საათები პეტნიან ზღუდეებს,
ო, გაარღვევ ზღუდები და დღის ნათელი
გაგვიხანგრძლივე. მიეჩვია გარდაქმნას გული,
გარდაქმნა იგი შენებურად და გაამთელე,
ხეს ალიონზე მოაცალე ერთი ფოთოლი,
ხოლო მეორე — შუადღისას შემოაცალე,
ერთი ჩვენს ხეს და მეორე სხვას. გზები მოთელე,
მზეს მოახვიე გამჭვირვალე ბურუსის ბადე,
მიწას მოავლე ამეთვისტოს მსუბუქი ჯადო,
ფრთხილად, ო, ფრთხილად!
აი ეს ვაზი შეიბრალე, დაყურსულს ჩრდილში
შეჭირხლებია ნაადრევი ყინვისგან ლერწი,
სულ მცირედიც და მისი ტანი გასდება ბერწი,
ადროვე ვაზებს შიბრუნება კვლავ ზამთრულ ძილში...

მშვიდი მარტინები

გაისმა ხმა: „დაუშვით იგი ძირს!“
გაისმა ხმები: „ძირს — რა მანძილზე?“

„სამყაროს შეიდი ფენის მანძილზე!“

„დრო რამდენი გვაქვს?“

„აიღეთ ოცი წელიწადი.

დე მან უარყოს სიყვარული სიმდიდრესთან და პატივთან ერთად.
შევენიერნი იქნენ შემრჩენი.

და შეარჩიონ!“

„მაშ მივცეთ თავად მას არჩევანი?“

„ჰო, მიეცით მას არჩევანი.

და შეასრულეთ ამოცანა მისი არჩევნის მიუხედავად“.

უხილავი ხელების გროვა შეეხო მის მხარს,

სამოქმედოდ გამზადებული.

და იდგა იგი წელგამართული,

ფართო, მრგვალი საყურეებით, ოქროვან გიშრის, მარგალიტია
მოოჭვილი საყურეებით,

და ასეთივე მანიაკით დაშვენებული,

ლოყები ნაზად შეფაქლოდა,

ამაყად იდგა, სიამაყე მეგობრობისა.

იკითხა ხმამ: „ამღევთ არჩევანს?“

„დიახ, ვაძლევთ და მაინც ვიმარჯვებთ!“.

„ამოქმედეთ სიხარული, მაგრამ დასტოვეთ თავად მარად

შეუმწიკვლავი.

მისი პირველი სიხარული იყოს ქორწილი,

რომელიც თუმცა ქორწილია,

მაგრამ ამავ დროს — კარგი, ეს თავად ეცოდინებათ მას და მის

საქმროს.

და ამის შემდეგ, მისი მომდევნო სიხარული იყოს ამგვარი:

დამწუხარდეს, მაგრამ მწუხარება თვისი დაპფაროს,

წუ გაიგებენ მეგობრები წესილის მიზეზს, და წუ აქცივენ მას
სირცხვილის

მისი მესამე სიხარული იყოს მათგან ამ მიზეზის წვრილად გაგება,
მაგრამ საკუთარ ბედნიერებით გაბრუება და
განურჩევლობა მიზეზის მიმართ.

მიეცით ბავშვი ერთ-ერთ მუხლზე მას მეოთხე სიხარულად და
მით შეახსენეთ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, თუ ერთ დროს
რარიგ ბრწყინავდა იგი მშვენებით.

და მეგობრებმა ეს ყოველივე ნახონ ზამთარში, ბუხრის შექშე.

ნურაფერს ეტყვის იგი მეგობრებს, —

არასანდოდ ჩასთვალოს ყველა, კვლავინდებურად;

მისი მომდევნო სიხარული იყოს ამგვარი:

წუ ჩასთვლის იგი მათ თქმის ღირსაღაც.

დე, იყოს იგი თავმდაბალი ყველაზე მეტად,

სხვები კი სწორედ თავმდაბლობის ნაკლებობას ამჩნევდნენ მასში.

ამაოდ სურდეს, რომ იცნობდნენ მას ისეთად, როგორიც არის,
ამაოდ სწადდეს, რომ შეიყვარონ იმისათვის, რაც არის იგი

სინამდვილეში,

და ანუგეშეთ იგი მეექვსე სიხარულით, რაც მიახვედრებს,

რომ ხელმოცარვის მიზეზია მისთვის უცხო ცხოვრების წესი,

სადამდისაც ის უნებურად

დაუიდა, თუმც კი შეიცნო გეიან.

შემდგომ ამისა მიუგზავნეთ ადამიანი,

ვისაც ექნება თვალი ამის დასანახავად

და განცვიფრებად.

ექნება სიტყვა, რომლითაც იგი მას განაცვიფრებს, ეტყვის, თუ რაა

ყოველივე ამის მიზეზი,

შაგრამ აღარ დაყოვნდება მის მოსასმენად.
 უკანასკნელი სიხარული იყოს შემდეგი:
 გული გაუხსნას
 ამ ადამიანს.

ასე რომ, იცნობთ თქვენ შვიდივეს“.
 „გვენდობოდე“, — გაისმა ხმები.

დასავლეთისკან მიმდინარე ნაკადული

„ფრედ, საითაა ჩრდილოეთი?“

„აქეთ, ძვირფასო“.

„ნაკადული დასავლეთისკენ მიედინება“.

„დასავლეთისკენ მიმდინარე დავარქვათ მაშინ“

(ასე უწოდებს მას იმ დღიდან დიდი და მცირე).

„ნეტავ რას ფიქრობს, დასავლეთის მხარეს რომ მიდის,
 აღმოსავლისკენ არ მიდიან სხვა მდინარენი

ოკეანესთან შესართავად? ალბათ ნაკადულს

აქეს რამე რწმენა — ან, ჩვენსავით, წინააღმდეგობა

თუ ამოქმედებს, რადგანაც ჩვენ ვართ... რა ვართ მე და შენ?
 არც კი ვიცი დანამდვილებით“.

„ახალგაზრდები თუ ახლები?“

„ემ სულ ერთია“.

„ჩვენ ხომ ორნი ვართ, სამნი ვავხდეთ ამიერიდან,
 და რამდენადაც ერთმანეთის მეუღლენი ვართ,
 ამ ნაკადულსაც შევეუღლოთ და ავაშენოთ
 ზედ ჩვენი ხიდი. ამავე დროს იგი იქნება
 იგივე მკლავი, მოხვეული გვერდით წოლისას.“

შეხე, შეხე, ტალღას აქაფებს, ხელს გვიქნევს თითქოს,
 თითქოს გაიგო ყოველივე“.

„იცი, ძვირფასო,

ეგ ტალღა ჩვენი ნაპირიდან ძლიერ შორს არის“.

(შევი ნაკადი აწყდებოდა ამოჩირილ კლდისთავს,

შემდეგ ჟყანვე მიიწევდა მოთეთრო ტალღა

და თეთრი წყალი შავდებოდა თანდათანობით,

შემდეგ ფრინველის თეთრი ბურტყლით იწინწკლებოდა

შავი ნაკადი, უფრო მეტად მოშავო გუბე

მისგან შექმნილი; ბოლოს ბურტყლი, თეთრი ქაფივით,

გროვდებოდა შორეული ნაპირის თხმელთან).

„დიდი ხანია, რაც დაშორდა ტალღა ამ ნაპირს.

იმ დროს, როდესაც, როგორც გითხარ, მდინარეები

შეიქმნა ცაში. არა, ტალღას არა უთქვამს რა“.

„შენთვის თუ არა, ჩემთვის უთქვამს. ესეც საქმეა“.

„მაშ გაიყოლე იგი ქალთა სახელმწიფოში,

ამორძალების ქვეყნის მსგავსი თუ საღმე არის,

სად მამაკაცებს აღკვეთილი გვექნება მოსველა

და მხოლოდ საზღვრებს მოვაწყდებით, რათა გიხილოთ.

შენი ყოფილა ნაკადული. რა მაქს სათქმელი“.

„გაქვს და არცა გაქვს; განაგრძე, შენ რაღაცას ფიქრობ“.

„წინააღმდეგობა რომ ვახსენეთ, შეხე ნაკადულს, —

იმ თეთრი ტალღით რარიგ ებრძვის იგი თავისთავს.

დასაბამიდან წყალი იყო ჩვენი საწყისი,

სანამ რაიმე არსებისგან წარმოვდგებოდით.

ხოლო ამჟამად, აჩქარებულ ფეხის ნაბიჯით,

უკან ვაბრუნებთ საწყისების საწყისისაკენ

ყველაფერ იმას, რაც ნაკადად მიედინება.

ზოგი ამბობს, რომ არსებობა ვით პირუეტი
 და პირუოტი, მეორდება ერთსავ ადგილას,
 ცეკვავს ადგილშე; არა, იგი მიედინება,
 მიედინება ხან გულდინჯად, ხან სევდიანად
 რათა აღავსოს უფსკრულეთი სიცარიელით.

იგი გვერდს გვიცლის როგორც აი, ეს ნაკადელი,
 გადადის ჩვენზე, ჩამოლგება ხშირად ჩვენს შორის,
 რათა გაგვყაროს პანიური შიშის წუთებში.

გადის ჩვენს შორის, ჩვენზე, ჩვენს ქვეშ და ჩვენთან ერთად,
 იგია დრო და სიძლიერე, სინათლე, ტონი,
 ხედვა, სიცოცხლე, სიყვარული და ამავე დროს
 იგი სიკვდილის საამქევეყნო წყალგარდნილია,
 არარაობის მომცლენელი, — შეუჩერები,
 აჩერებს მხოლოდ საკუთარი წინააღმდეგობა,
 რომელიც უკან ახევინებს განსაცვიფრებლად,
 თითქოს სინანულს აღუძრავსო წმიდათაწმიდას.

იგი შეიცავს თავისთავად ამ ჟუგდებას,
 ასე რომ, მისი დაქანება არის ამავ დროს
 აღმასვლაც თითქოს და მცირედი შემართვაც თითქოს.
 ჩვენი საწუთოს უკუსვლაა — საათის წინსვლა,
 მზის უკუსვლაა — წინსვლა ისევ ნაკადელისა.

არსებობს ძალა, რომელიც თვით მზის სვლას წარმართავს.
 ეს არის ბიძგი სათავისკენ უკუგდებისა,
 საწინააღმდეგოდ დინებისა, რომელშიც ჩვენ ვართ,
 დინების ხარკი, მიტანილი სათავისადმი, —
 აი, რა არის ბუნებაში ჩვენი საწყისი
 და ჩვენი არსიც უმთავრესად“.

„მაშ დღეს იცოს დღე
შენი ნათქვამის“.

„არა, დღევანდელ დღეს დავარქვათ
დასავლეთისკენ მიმდინარე ნაკადულის დღე“.

„ჩვენი ნათქვამის დღე დაერქვას ამ დღევანდელ დღეს“.

ԱՐԲԻՎԱՆՈ

ՈՍՈՆԸ ծըցրև Շեմոցտազա՛՛ծեծեն,
թյ — ՏԵՂ ՄԿՈՒՐԵՄԵՆՆ.

ԵՒԳԱՐԻԸ ԼՈՒՊԼՈՒԾ ՇԵԱԼԱՄԻԾ, ՇԱԾՐԵՎՆԻԸ ԾՈԲՆՅԵ,
ՃԱ ՎԿՈՂԻԸ ՀԱՅՐԱԿՅ ՏՎԵԼԵՄՈԽՄՈՒՐԵԼՈ,
ՀԱՄՈՎԵԼԵԺՄՈՂՈ, ԹԵՐԵՅՈ, ԸՈԹՈԼՈ,
ԵԱՆ ՏՈՎՅԱՐՄԵՂՈ, ԵԱՆ ԾԱԼԱՃՈ, ԵՐԴԵՐԻԸ ԾՈՄ ՏՎԵԼՈԱՆ,
ՏՈՎՅՈՂՈԼՈԸ ՇՈՇՈ, ՏՈՆԱՆՂՈԼՈԸ ՀՎԵԼԱՎ ԸԱԾՐՄԵՆՅԱ,
ԿՈՎԵԼՈՎԵ ԱՄԱՆ ՀՏԱԶԱ՛՛ՉՈՅԵՆ —
ԹԵ ՀՈ ՄՈՎԴՈՎԱՐ,

ԹՈԹԱՋԵՍ ՖՌՈՒ ՄԱՐԻԼՄՈՎՐՈԼՈ,
ԹԾՈՄԵ ՀԱԴՈԸ ՄԱՐԱՆՈ,
ԸԱՎԵՔՐՈՄԵՂՈ ՑՐԺՈԼԱ,
ՃԱ ՀԵՄԵՆԵՅՈՒՅՈ:
Ահա, ԱՌԵԴ!
ՇՈՄՇՈԼՈ,
ՏԱՄՐԻՏԵ
ՃԱ ՏՈՎԵԼՈՎՈԼՈ.

დაახორეთ გვამები აუსტერლიცში და ვატერლოოში¹
დამარხეთ მიწაში და მიმიშვით სამუშაოდ —
მე ვარ ბალაზი; მე ვფარავ ყველაფერს.

დაახორეთ გვამები გეტისბურგში,
დაახორეთ იპრესში, ვერდენში.
დამარხეთ მიწაში და მიმიშვით სამუშაოდ.
ორი წელი, ათი წელი და მგზავრები ჰკითხავენ
გამყოლს:

რა პეტია ამ აღგილს?
სად ვიმყოფებით?

მე ვარ ბალაზი.
მე ვფარავ ყველაფერს.

III სამარეში

როდესაც აბრაძამ ლინკოლნი დამარხეს, მას გადაავიწყდა თავისი
მკვლელი და კოპერპედები¹... ცივ სამარეში, მტკერში.
ულისეს გრანტმაც² სრულიად დაჭკარგა ყოველგვარი ხსოვნა მეზღ-
ვაურებისა და უოლ-სტრიტისა, გაცამტვერდა ფული და

¹ კოპერპედები — სამხრეთის აკენტები ლინკოლნის პარტიაში, რო-
მელთაც მოაწყევეს შეთქმულება.

² ულისეს გრანტი — აშშ მეოურამეტე პრეზიდენტი.



სხვა წვრილმანები... ცივ სამარეში... მტვერში.
 პოკაპონტას¹ სხეული, ალვასავით აშოლტილი, ნოემბრის დაწირო-
 ზე უტკბესი,
 მაისში გაფურჩქვნილ აზმინზე უტკბესი... გაჟუვირდა მაინც? ახსოვს
 მაინც?.. ცივ სამარეში, მტვერში?..
 აიღოთ მოედანზე შეგროვილი ხალხი; ყიდულობენ ტანსაცმელს,
 სურსათს, ესალმებიან რომელიმე გმირს, ამნევენ confett-ის
 ან სპილენძის საყვირებს უკრავენ... მითხარით, მიჯნურობა
 თუ იყარგება, ან თუ იძნენ სხვანი უფრო მეტს, ვიდრე მიჯ-
 ნურნი... ცივ სამარეში... მტვერში...

ჩიბაბი

მსოფლიო ყასაბი,
 დაზგათმშენებელი, პურის დამბეღლავი,
 რკინიგზის ხლართების სათავე, ქვეყნის სატვირთო ბაჟების
 შემქრები.
 აზგავებული, ხმახრინწიანი, მეამბოხე,
 მხარბეჭვებანიერი ქალაქი.
 მეუბნებიან, რომ გარყვნილი ხარ. მე მჯერა მათი, რადგან მინახავს
 ფერ-უმარილით შეღებილი შენი ქალები, გაზის სინათლეში რომ
 იტყუებენ ფერმერების მოჯამაგირეებს.
 მეუბნებიან: ბოროტმოქმედი ხარ; მე მათ მივუგებ: პო, მართალია,
 მე მინახავს, განგსტერები როგორ ჰქლავენ კაცს და განაგრ-
 ძობენ გზას თავისუფლად, სხვათა მოსაკლავად.
 მეუბნებიან: გულმხეცი ხარ, და მეც ვპასუხობ: მე მინახავს ქალე-
 ბისა და ბავშვების სახეზე უწყალო შიმშილის დაღი.
 და ამგვარი პასუხის შემდეგ მივუბრუნდები იმ ადამიანებს, რო-

¹ პოკაპონტა — შიომელკანისთა ერთ-ერთი ბელადის ქალიშვილი.

მელნიც ასე პერდვენ ჩემს ქალაქს, და ვუბრუნებ ქირდუნზ
მოდით და მიჩვენეთ სხვა ქალაქი, ასე ამაყად, თავაწეულად რომ
მღეროდეს პიმნს სიცოცხლისას: უხეში, მძლავრი, ყველაფ-
რისმცნობი.

მაგნიტურ წყევლათა დაურქვევით ახვავებს იგი საქმეს საქმეზე,
ტანმაღალი, გულოვანი კვერისდამკვრელი, ესდენ მექაფიოდ
გამორჩეული სხვა პატარა, უდღეური ქალაქებისგან.
ენაწაგდებული ავი ნაგაზივით მიიწევს იგი საქმისაკენ,
ქმედებისაკენ,

უდაბნოსთან შეჭიდებული ველურივით მოსაზრებული,
თავშიმველი,
მიწასთან მებრძოლი,
დამანგრეველი,
დამგეგმავი,
აშენებს, ლეწავს, ისევ აშენებს,

კვამლში გახვეული, მტვრით ამოვსებული პირით იცინის, თეთრ
გბილებს აჩენს,
ბედისწერის საზარელ ტვირთქევეშ იცინის იგი ახალგაზრდულად,
იცინის როგორც გულმოცემული მებრძოლი, რომელმაც არ იცის,
რაა დამარცხება,
იცინის თავმომწონედ, რადგან იცის, რომ ძარღვებში უჩქეფს
მძლავრი სისხლი, ხოლო ნეკნებქეშ უცემს გული მთელი

ხალხისა, იცინის!
იცინის აზვავებული, ხმახრინწიანი, მეამბოხე, ახალგაზრდული სი-
ცილით; ნახევრადშიმველი, ოფლში გაღვარული, იცინის
გულამაყი მსოფლიო ყასაბი, დაზგათშენებელი, პურის დამ-
ბეღლავი, რკინიგზის ხლართების სათავე, და ქვეყნის სატ-
ვირთო ბაჟების შემკრები ქალაქი.

ნეტავ რას ფიქრობს ჯალათი, როდესაც
 ბრუნდება სახლში სამუშაოს შემდეგ?
 როდესაც დაჯდება ცოლთან და შვილებთან,
 მიირთმევს ყავას, ან შაშიან ერბო-კვერცხს,
 თუ კვითხებიან ისინი მამას,
 როგორ ჩაიარა დღეს სამუშაო დღემ,
 როგორ მიდის საქმე, კარგად თუ ცედად,
 თუ ერიდებიან ზოგიერთ თემებს და
 ამინდზე, ხელბურთზე, პოლიტიკაზე,
 გაზეთის იუმორზე, გინოზე მსჯელობენ?
 ან როდესაც იგი გაიწვდის ხელებს
 ყავის ფინჯნისაკენ, ზედ თუ დახედავენ?
 ან თუ ებნება უმცროსი შვილი:
 „მამიკო, ძა, თოკი, მოდი ვითამაშოთ
 ახლა ცხენობანა“, თუ ეტყვის ხუმრობით:
 „დღეს უკვე საკმაოდ მომბეჭრდა თოკები?“
 ან თუ აენთება სახე, ვით კოცონი,
 და თუ შესძახებს:
 „ექ, მაინც რა არის ეს წუთისოფელი!“
 და თუ სახეთეთრი მთვარე შეიტვრიტავს
 მის ფანჯარაში და პატარა გოგონას
 დახედავს ბალიშზე ტკბილად მძინარეს
 და კურცხლს გადაათოვს ჩვილის სათუთ ყურებს
 და ოქროს გალულებს, ნეტავი ამ დროს
 რას შერება ჯალათი? მას არ ეძნელება
 ალბათ ყოველივე ამის ყურება და,

საერთოდ,
 მე ვფიქრობ,
 ჯალათს არაფერი არ ვძნელება.

რიცხვების პატი

(სეპარატიან ბახის ანრდილისაღმი)

იგი იშვა დედამიწაზე რიცხვთა შესაცნობად.

მან შეუფარდა ათიანებს ბუთიანები,
 დააკავშირა, შეაყვარა მათ ურთიერთი,
 სარეცელი უქმნა ზიარი.

მან შექრიბა ექვსიანები, შვიდიანები,
 გადაამტერა, ურთერთს შეაჭიდა
 გამოთლილ ძვლებზე.

მან გააღვიძა ორიანები, ოთხიანები,
 განუფრთხო მათ ძილი ყრმობისა,
 კვლავ შეულოცა და დააძინა.

მან დაალაგა რვიანები და ცხრიანები,
 წინასწარმეტყველთა წვერები დაურიგა
 და გაისტუმრა ნისლიან მთებში.

მან შექრიბა მისთვის ცნობილი ყველა რიცხვი,
 გადაამრავლა ახლად აღმოჩენილ რიცხვებზე
 და უწოდა ყოველივე ამას „ღოცვა რიცხვებისა“.

მრავალმილიონიან ქარაგმელ სიჩუმეს
 აღმოუჩინა ჯუფთი რიცხვები
 უკუნეოში მბრწყინავ შანდლებად.

მან უწყოდა სიყვარულის, ბედის რიცხვები,
 მან უწყოდა, ვით შეიქმნა და შეკავშირდა
 ვარსკვლავეთი, ზღვა და ხმელეთი რიცხვთაგან.

სიკვდილი ცხვირში ხელს მოავლებს გელამაყ კაცს

სიკვდილი უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა მთავრობა ამ ქვეყანაზე:
 მთავრობები ადამიანები არიან, ადამიანები იხოცებიან, ხოლო
 სიკვდილი ხითხითებს: „დღეს არიან, ხვალ აღარ არიან“.

სიკვდილი უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა გულამაყი კაცი ამ ქვეყა-
 ნაზე: სიკვდილი ცხვირში ხელს მოავლებს გელამაყ კაცს, ჩა-
 მოუეორებს წყვილ კამათელს და ეუბნება: „წაიკითხე და
 ღვარე ცრემლები“.

სიკვდილი ყოველდღიურად გადასცემს რადიოგრამას: „როცა მო-
 მეპრიანება, თავს დაგაცხრებით“, და მართლაც ერთ შშვენიერ
 დღეს, მოადგება კარს გასაღებით ხელში, დაუკითხავად შე-
 მოვა შინ და გვეუბნება: „წავიდეთ ახლა“.

გრძელმკლავება ძიძაა სიკვდილი! „ნე გეშინია, არაფერს გატენ,
 უკვე დროა, ახლა შენ უნდა დაიძინო ხანგრძლივი ძილით,
 ჩემო პატარა; განა ძილს რამე სჯობია ქვეყნად?“

Յուղական պատճենների մասին գործությունը հաջող է առաջարկված լինելու համար:

მერძევებ არ იცის კაშათი; იგი მუშაობს მარტოხელა; მას არავინ ელაპარაკება; ქალაქს სძინავს, როდესაც იგი გამოდის სამუშაოდ; იგი სამოც სადარბაზო კარს ჩამოუვლის ბოთლებით ხელში, აივლის ორას საფეხურს ხის კიბეებისას და ეწოდებს ყოველივე ამას დღიურ სამუშაოს; ორი ცხენი ახლავს თან მხოლოდ; მან არ იცის კაშათი.

საგლინავი ჩარხის ოსტატნი და მეფოლადენი წილისა და ხენჯის
ძმები არიან; სამუშაოს დამთავრებისას ისინი ამოიფერთხა-
ვენ ხენჯს ფეხსაცმლებიდან; მათ მიაქვთ ცოლებთან დასა-
კერებლად მუხლებამომწვარი შარვლები; მათ აქვთ გამჭვარ-
ტლული კისერი და ყურები; ისინი იხეხავენ კისერს და ყუ-
რებს; ისინი წილისა და ხენჯის ძმები არიან.

3063030 კლასის მასპიცე

მე მიღებები პირველი კლასის ექსპრესს, ჩვენი ქვეყნის ურთ-ერთ უსწრაფეს მატარებელთაგანს.

პრეზიდენტი მიქერის და მიაპობს ცისფერი ბურუსით მოცელ სიბ-
ნელეს ფოლადის ორმოცდაათი ვაგონი ათასამდე მგზავ-
რითურთ.

ეს ვაგონები, ბოლოს და ბოლოს, ჯართად იქცევიან, დაუაზღუდულიან,
ვაგონრესტორანში და საძილებში შოხარხარე ქალებისა და
მამაკაცებისგან ძვალიც აღარ დარჩება.

თამბაქოს მოსაწევ ვაგონში ვეკითხები კაცს, საით მიდის, და იგიც
მპასუხობს: „ომაპა“.

უდაბნო

ჩემში სახლობს მგელი... ბასრი ბრჭყალები ტყავის დასაგლეჯად...
წითელი ენა უმი ხორცისთვის... ცხელი სისხლისთვის... — მუ
გინახავ მგელს, რადგან იგი უდაბნომ მომცა, უდაბნო მას ვერ
შეელევა.

ჩემში სახლობს მელა... რუს-მოვერცხლისფრო მელა... მე ვყნოსავ
გარემოს... ქარსაც კი გამოვრჩები რაღაცას... სიბნელეში
გამოვჩრეკ მძინარე არსებას, შევახრამუნებ და ვმალავ ბუმ-
ბულს... ვხაზავ წრეებს, ვნასკვავ ყულფებს, ვიგონებ ხრი-
კებს...

ჩემში სახლობს ტახი... დინგი და მუცელი... ჭამის, ღრუტუნის მე-
ქანიზმები... მზეში გაწოლის, ტკბილი ძილის მექანიზმები,—
ესენიც უდაბნომ მომმადლა, უდაბნო მათ ვერ შეელევა.

ჩემში სახლობს თევზი... ვიცი, რომ მოვედი მლაშე და ცისფერი
წყლის მორცვებიდან... დავსრიალებდი ქაშაყებთან ერთად
დარწებშე... წყალს ვაშხეფებდი დელფინებთან ერთად... სა-

ნამ მიწა შეიქმნებოდა... სანამ წყალი გადავიდოდა... ნორუ
ადრე... დაბადების პირველ თავზე ადრე.



ჩემში სახლობს ანთარი¹... ფეხმარდი... ძაღლისახიანი... შიმში-
ლისაგან აყმევლებული... ბანჯველიანი იღლიები აქვს. აქ
არიან მიმინოსოვალება, ვნებაატეჭილი მამაკაცები... ქერა-
თმიანი, ცისფერთვალება ქალები... აქ მათ სძინავთ მოქუნ-
ტულებს, ელიან რაღაცას... მზად არიან საღრუნად, კაცის-
გვლად... მზად არიან სამღრრად, საძიძაოდ... ელიან რაღა-
ცას... მე ვინახავ ანთარს, რაღვან უდაბნო ასე მიბრძანებს.

ჩემში სახლობს არწივი, სახლობს ჩიტიმანჭია... არწივი დაფრი-
ნავს ჩემი ოცნებების კლდოვან ქედებზე, იბრძეის ჩემი გან-
საცდელის პიტალო კლდებზე... შუადღისას, როდესაც ცვა-
რი შრება ბალაზზე, ჩიტიმანჭია ტკარცულებს ჩემი იმედების
დაბალ ბუჩქარში, დაფრთხიალებს ჩემი სურვილების ცის-
ფერ ბორცვებზე — მე მყავს არწივი, მყავს ჩიტიმანჭია —
უდაბნოსაგან მომადლებულნი.

ასე რომ, მთელი ზოოპარკი მყავს, მთელი სამხეცე, ამ ჩემს ნეკნებ-
ქვეშ, ამ ჩემს მყიფე თავისქალაში, ამ ჩემს წითელსარქელიან
გელში; ჩემს დედაკაცურ, ბავშვურ გულში: ჩემშია მამა,
ჩემშია დედა, ჩემშია მიჯნური: ესენი მოვიდნენ — ღმერთმა
უწყის საიდან, მიდიან — ღმერთმა უწყის საით, მე ვარ სამ-
ხეცეს პატრონი, მე ვამბობ „პო“-ს, ვამბობ „არა“-ს, მე
ჰლავ კაცს, ვმღერი, ვმუშაობ: მე თანაზიარი ვარ ამ სოფ-
ლის, მე უდაბნოდან მოვედი.

1. ანთარი — მარტუნია ერთგვარი.

4. ამერიკელი პოეტები

„შეიძლება“

შეიძლება მას სჯეროდეს ჩემი, შეიძლება არა,
 შეიძლება გავყვე მას ცოლად, შეიძლება არა,
 შეიძლება ქარი ქროდეს პრერიებზე,
 შეიძლება ზღვას გრიგალი აღელვებდეს,
 გინმემ სადმე შეიძლება გითხრას ასე,
 მე მას მხარშე თავს დავაყრდნობ,
 და როდესაც იგი მკითხავს, შეიძლება ვუპასუხო:
 „თანახმა ვარ“.

— გრძელ —
 - მამ მაც ეს კომ მისრა
 უ კა- არა, არამა ქ-ორა, ა
 - ფოდ მა მაც იმასტიდა ეს კარგი
 და კარგი მისრა,

ზანგშრი ქადაგება: საიმონ ლეგრი

ლეგრის პეონდა სახლი — თეთრი და კრიალა,
 ბამბის ნათესები, მინდვრები ტრიალი,
 საჯიშე ცხენები, პირუტყვი ქებული,
 შავი ნაგაზები ჯაჭვებმიშვებული,
 კარადაში პეონდა უცხო ფარდაგები,
 მაგის წიგნები, ოქროს ტოპრაკები,
 და კურდღლის თათები, მავთულშე ნაგები,
 მაგრამ საბოლოოდ ეშმასთან წავიდა.

ლეგრის პეონდა ჯუბა — ბრინჯაოს ღილებით,
 სისხლისფერ პერანგზე — გველის ყელსაბამი,
 თხისებრი წვერი და წაზრდილი ფრჩხილები,
 მგლისფერი თვალები, კისერი — ღაბალი.
 ლოყები — მოთეთრო, თევზის მუცელივით,
 გბილები — ვება, პირბასრი ცელივით,
 უმი ხორცის ჭამა უყვარდა საღილად,
 თვალების ბრიალით კატების გადენა,
 ლეგრის პეონდა მეშტი — უპ, უზარმაზარი,
 საცოდავ ზანგთათვის — განკითხვა და ზარი,
 ნიღაბქვეშ თუ პეონდა ჯალო რამ საზარი,
 მაგრამ საბოლოოდ ეშმასთან წავიდა.



წელამდე ჩექებით მოლევდა მთა და ბარს, ციფრული
ტერდა გაქცეულ ზანგ მონებს, ცოცხალ-მკვდრის,
მაგრამ საბოლოოდ ეშმასთან წავიდა.

საწყალ ბიძია ტომის სცემა სასიკვდილოდ,
(ლეგრისთვის იღოცა ბოლოს, სულმისდილმა),
შემდეგ ძია ტომი ევასთან აფრინდა,
მაღალი სიწმინდის წიაღში დამკვიდრდა,
ლეგრიმ ცას ახედა, ანთებულს ციაღით,
ქუსლი ქუსლს შემოპყრა და კბილთა ღრუჭიალით —
ეშმასთან წავიდა.

ეშო გადასერა ქარში და წვიმაში,
გვერდის ოთახიდან გავიდა წინაში,
სთქვა: „რაკი მოვკალი, ზედმეტია მოთქმა“,
ძაღლები გარეკა, ფიცი რამ წარმოთქვა,
შეირტყა სარტყელი, აიღო ლამპარი,
ჩავიდა სარდაფში, იატაკი დამპალი
აქყარა, შუაში, ობმოკიდებული
ქვაკარი იპოვნა, მიწაში დებული,
და ქვევით, ქვევით, ეშმასთან წავიდა.
ლამპარი ჩაუქრა, აენთო თვალები,
ლეგრიმ მთელი ლამე იფორთხა წვალებით,
ქვევით, ქვევით, ეშმას საუფლოში.
ბოლოს მიაღწია ადგილს და ნახა, რომ
ბენა შანთავდა კაცთ მოდგმის ნახევარს,
ნახა მწვანე ტახტუე დამჯდარი ეშმაკი,
სისხლიან ბარკლის ძვალს ღიჯნიდა ეგ შმაგი,

და უთხრა მისტერ ეშმაქს:

„უხვად გაქვთ საკვები, სისხლი დგას ტბორებად,
 სჩანს, გემრიელია ცოდვილთა მძორები,
 ექმად არ მომცდარან უგ ლომის ტორები.
 მსუქანიც ბრძანდებით, ტკბილად მოუბარი,
 სამსალა გისვამთ და სისხლი ნაგუბარი,
 დაგიყოლებიათ ზედ ფისი მდუღარი“.

ეშმაქმა მიუგო მას სიტყვა — ტვიფარი:

„მომწონს შენი ენა, ლალი, უტიფარი,
 მოდი ტახტს გაგიყოფ, გვაშოროს არული,
 შევიტკბოთ ყოფა და ვიქმნეთ მხიარული“.
 მას აქეთ სხედან და, როგორც ავაზები,
 კბილს აღრჭიალებენ, ხელთ უსურვაზები
 უპყრიათ, — ფანტავენ პენსებს და მონეტებს,
 პოკერს აჩალებენ, საიდუმლო ნეპებს¹.

ლეგრიც გაგვისუქდა, ამოდ მოუბარი,
 ცეცხლი ჟეპაშია, სისხლი ნაგუბარი,
 დაუყოლებია ზედ ფისი მდუღარი,
 ქვევით, ქვევით, ეშმას საუფლოში,
 ქვევით, ქვევით, ეშმას საუფლოში,
 ქვევით, ქვევით, ეშმას საუფლოში.

¹ ნეპი — კარტის თამაშია ერთგვარი.

პიტერ ჰეინსი პლავიატურასთან

1.

ჩემი თითები პქმნიან ჰანგებს ამ თეთრ ფიჩხებზე
და ამგვარადვე აღმიძრავენ მე ეს ჰანგები
საოცრად მსგავსი ხმოვანების მუსიკას სულში.
მაშინ მუსიკა გრძნობაა და არა ხმათწყობა.
ასე რომ, იგივ ჩემი გრძნობა, რომელიც ახლა
ამ ოთახში მჯდარს და შენს ნახვას მოწადინებულს
მე მომალანდებს შენს აბრეშუმს, ჩრდილოვან-ცისფერს, —
არის მუსიკა. მე მაგონებს იგი იმ ჰანგებს,
რომელიც აღძრა ლაქაშების ტევრში სუსანა.
საღამო იყო მოკამყამე, ზურმუხტოვანი,
როდესაც იგი ბანაობდა თავის წალკოტში,
წითელოვალება ლერწმები კი, განცვილებულნი,
ცვალს ადევნებდნენ და თან პქმნიდნენ შრიალს ბანისას
მომაჯალოებ ხმოვანებით. უფერო სისხლი
ფერქავდა მათში პიციკატოდ, როგორც ოსანა.

2.

ზურმუხტოვან, კამყამა წყალში
იწვა სუსანა,

ეძიებდა
 გაზაფხულის ფერთა ცვალებას
 და ჰპოლობდა
 წარმოსახვათა იღუმალებას.
 ოხრავდა მისი
 მელოდიით ავსილი მკერდი.

ნაპირზე იღგა
 გაქარწყლებულ მღელვარებათა
 მსუბუქ თრთვილით შემოგარსული.
 ხშირ ფოთლოვანში კიაფობდა
 ნამი წარსულის.

ცვრიან ბალაზზე მიღიოდა
 ისევ მთრთოლვარე.
 სიონი სდევდნენ ფეხაკრეფით
 და უსწორებდნენ
 თავშალს ელგარეს.

და მისი სუნთქვა
 ამუნჯებდა
 ღამეს მწეხარეს.
 იგი მობრუნდა
 ჩემბალო რეკდა,
 საყვირი მქუჩარე.

მაშინ ხმაურიან ტამბურინებად
 მოცვივდნენ მხლებლები — ბიზანტინები.

განცვითორდნენ ისინი, სუსანას მნახველნი,
 პკითხეს, რას ნიშნავდა ლერწმებში ძახილი.

და მათი ჩურჩული და მათი ტრიალი
 ისმოდა ვით ქარში ტირიფის შრიალი.

ფარნების მკრთალ შექმე ბნელშემოძარცული
 მოსჩანდა სუსანა და მისი სირცხვილი.

და გაპქრნენ მანჭია ბიზანტინები
 სიცილით, ხმაურით, ვით ტამბურინები.

4.

მშვენიერება წარმოსახვით წამიერია
 (მდიდრულ კარიბჭეის აჩქარებულ ნაბიჯით გავლა),
 სხეულში იგი უკვდავია; თუმც კვდომის დავლა
 არის სხეული, მაინც მისი ცოცხლობს მშვენება,

ასევე კვდება საღამეულ სიმწვანის არე,
 ასევე კვდება მდინარეში ტალღა მჩქეფარე.
 ასე კვდებიან ბაღები და იმათი რული
 ზამთრის საფარქვეშ გვეგულება კვლავ დაფარული.

ასე კვდებიან ქალწულები როს ავრორალურს
 მართავენ ხოლმე საქალწულო ზეიმს ქორალურს,
 და თუმც სუსანას მუსიკა აწ დაკარგულია
 იმ თეთრ ლერწმებში, მაინც იგი ასცდება ცვენას,

რჩება სიკედილის ირონია და კბილთა ღრჟენა,
 ამჟამად იგი, გადასული უკვდავებაში,
 ნათელ ჭიანურს აამდერებს მოგონებისას
 და ხოტბის ძალას დაამკვიდრებს მუდმივ შვებაში.

შეთქმალება გოლიათის ჯინაღდებ

პირველი გოგონა

როდესაც ეგ ხეპრე აქეთ ჩამოივლის
 თავის წალდის ლესვით,
 მე წინ გადავურბენ
 და ისე შევაფრქვევ გერანიუშის და სხვა ყვავილთა
 დამათრობელ სურნელს.
 ამით შევაკავებ.

მეორე გოგონა

მე წინ გადავურბენ,
 და ავუფრიალებ
 ქვირითისფერად დაწინწელულ აბრეშუმს
 და ამ ქსოვილის დანახვაზე
 იგი შეცბუნდება.

Oh, la... le paurve! ¹
 მე წინ გადავურბენ
 და სულს შევუბერავ,
 იგი დაიხრება ჩემს მოსასმენად და
 მე ვუჩურჩულებ
 ციურ ლაბიალებს
 ამ ხორხისმიერთა მოარულ სამყაროს.
 ამით მას მოვალბობ.

¹ თქ., საცოდავი (ტრ.)

მზარეობის ღიტანია

O, Dieau, purifiez nos coeurs,
purifiez nos coeurs¹.

გმადლობ, რომ სიამის ხაზები
მოავლე ჩემს სულში,
და სიმშვენიერე ამ შენი ვენეციისა
განმაცდევინე,
ვიდრე ეს მშვენება ჩემთვის იქმეოდა
ცრემლთა მიზეზად,
ღმერთო, რა დიდი ქველმოქმედება
ჩაგვიდენია
და აღარ გვახსოვს,
ესოდენ დიდი მშვენიერება რომ მოგვივლინე,
ო, წყალთა ღმერთო,
ო, ღამის ღმერთო,
გვამცნე, რა დიდი მწუხარება
უნდა გვიწვიოს,
ნაადრევად რომ
გვიზღავ მუქაფას

¹ ლმერთო, განწმინდე ჩვენი გულები (ფრ.)

შის მოვლენამდის?

ო, სიჩუმის ღმერთო,

Purifiéz nos coeurs,

Purifiéz nos coeurs,

რამეთუ ვნახეთ

ბრწყინვალება შენი მხევლის

ხატების ლანდისა,

პოი, ბრწყინვალება შენი მშვენების

ლანდისა ვიხილეთ

წყლის ზედაპირზე,

აი, ამ შენს ვენეციაში

და შენი მხევლის

ლანდის სიჭმინდეს

ვერ გავემართე მე თვალები,

ო, წყალთა ღმერთო,

ო, სიჩუმის ღმერთო,

Purifiéz nos coeurs,

Purifiéz nos coeurs,

ო, წყალთა ღმერთო,

შენ განწმინდე ჩვენი გულები,

რამეთუ ვნახე

ლანდი ამ შენი ვენეციისა,

წყალზე მოლივლივე,

და შენი ვარსკელავნი

ხედავდნენ მას თავიანთი შორი გზებიდან,

ხედავდნენ მას

ო, წყალთა ღმერთო,

თუმც შენი ვარსკვლავნი სდუმან ჩვენთვის
 შორით მგზობარნი,

ასევე სდუმს ჩემი გული
 ამგამად ჩემში

Purifiéz nos coeurs,

ო, სიჩუმის ღმერთო,

Purifiéz nos coeurs,

ო, წყალთა ღმერთო.

კუნძული ტბაზე

ო, ღმერთო! ო, ვენერა! ო, ქურდების მფარველო მერკერი!
 ისმინეთ ჩემი ვედრება, მაღირსეთ თამბაქოს პატარა ფარდული,
 კოხტა, ბრჭყყვიალა ყუთები,

თაროზე გაწყობილნი ლამაზად,
 სურნელოვანი თეთუნის ფილები,
 ქისებში — ბურნუთი.

კოხტა ვირჯინია,

შეშის ბრჭყვიალა კოლოფების ფონზე გაბადრული,

კარგად გაწმენდილი სასწორი,

მეძავები, სტუმრად მოსულნი,

(ტკბილი სიტყვის თქმა, თმაზე ხელის გადასმა ნაზად...)

ო, ღმერთო! ო, ვენერა! ო, ქურდების მფარველო მერკერი!
 მომაქირავეთ თამბაქოს პატარა ფარდული,

ან მომიჩინეთ სხვა რამ ხელობა,

ოღონდ მარიდეთ მწერლის დაწყევლილი ხელობა,

რომელიც ითხოვს დღედაღამ ტვინის მუშაობას.

გაზაფხული
ძლიერ ხანგრძლივად
გონგულა

ქველვბარი სიბრძნი, ჩამაღ პოსმიერი

სო შეს დაესიზმრა,
რომ იგი ხან პეპელა იყო, ხან უეტყარი და ხანაც ჩიტი,
მას ვერ გაუგო, რატომ უნდა ეგრძნო თავი სხვაგვარად და
არა ისე, როგორც ეს სამი გრძნობს თავს.
აქედან: მისი თვითკმაყოფილება.

მაითაფინავი

ფ ე რ

ფუ ი-ს უყვარდა ცა ღრუბლიანი და გორაჭები,
საუბედუროდ, ალკოჰოლმა იმსხვერპლა იგი.

ლ ი პ ო

ლი პოც ნასეამი დაიღუპა, —
იფი მთეარეს გადაეხვია
ყველთელ მდინარეში.

უეცრად აღმოვაჩინე მეტად ლამაზი ნორმანდელი
შეძავის თვალებში
ბრიტიშ მუზეუმის მეტად განსწავლული ასისტენტის თვალები.

* * *

მოდი დავდოთ პაქტი, უოლტ უიტმან,
საკმაოდ დიდხანს უარვყოფდი მე სახელს შენსას,
ახლა კი მოველ ჟავე შენთან, როგორც მოზარდი,
რომლის მამასაც ღორის თავი ადგია მხრებშე.
ჟავე საკმაოდ მოხუცი ვარ მე სამეგობროდ,
შენ ხომ პირველმა გააშენე ეს ახალი ტყე,
უამია ჟავე მოწევნისა, უამი იცვალა
მე და შენ ფესვი საერთო გვაქვს,

წვენიც საერთო,
მოდი გაჩაღდეს კომურცია აწ წვენ ორს შორის.

DE AEGYPTO¹

მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვუწყი გზანი, ცად აღმავალნი,
ქარია სხეული ჩემი.

მე მინახავს ასული „ცხოვრება“,
მე ვარ, ეს მე ვარ, მე დავფრენ მერცხლებთან ერთად.

¹ ეგვიპტისათვის (ლათ.).

რეხია და მწევანე მისი ტალავარი,
 ქარი შლის შრიალა გალთებს.

Manus animam pinxit¹,
 კალამი მიჭირავს ხელში,

რათა დავწერო სიტყვა სანუკვარი...
 ბაგენი ჩემნი მღერიან უწმინდეს პანგებს.

ან ვისი ბაგენი იტყვიან
 კემური ლოტოსის პანგებს?

მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვეწყი გზანი ცად აღმავალნი,
 ქარია სხეული ჩემი.

მე ვარ მზის გულში გზნებული ცეცხლი,
 მე ვარ, ეს მე ვარ, მე დავფრენ მერცხლებთან ერთად.

შებლზე მაქვს ნათელი მთვარე
 და ჩემს ბაგეებში ბუდობენ ქარნი.

ნთვარე ვლება მარგალიტია საფირონის წყალში,
 მე მის ნაგადში ვიგრილებ თითებს.

მე ვარ, ეს მე ვარ, მე ვეწყი გზანი ცად
 აღმავალნი,
 ქარია სხეული ჩემი.

¹ ხელი სულს ხატავს (ლათ.).

ცელი სიზმრების აკოდობის

I

მეწამულ შექშე, სანდალოზის ტყით დამზიმებული ფერდობები
ზღვისკენ ეშვებიან,

ულრან ტევრებში შემალულა ციცაბო ხევი, ქვევით, ზღვის
კლდოვან სანაპიროზე

მოსჩანს ახო უკაცრიელი; მდინარისპირა პატარა ყანა; სახურავი
შემორჩენილ შეგების ძირში და ოკეანე

ლაპლაპებს, როგორც ვეება ლოდი, ფერდჩამოთლილი და გარან-
დული. შორს: შადრევანი

და სახმილი უჩვეულო ნათლისა, რომელიც იფრქვევა ჩამავალ მზის
მხრიდან. პატარა ველობზე

ქალია, რომელსაც ცხენი მიუბამს ნერგშე აღვირით და სცემს მას
შოლტით;

გამწარებული პირუტყვი ფართხალებს, ქალს ეშინია, არ გაწყდეს
ლაგამი და უხმობს სახლიდან

შვილს, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც გამოაქვს ჯაჭვიანი თოკი,
უანგმოკიდებულ პაწია რგოლებს ცხენს ენის ძირში ამოსდებენ და
გასიებული ენით აბაშენ მახლობელ ხეზე.

ამ სიმაღლიდან ბუზის ოდენად მოსჩანან ისინი.

თქვენ ვეღარ ხედავთ სისხლს, რომელიც მოსდის ცხენს პირიდან,

5. ამერიკელი პოეტები

თქვენ ვეღარ ხედავთ პირუტყებს ლახცახს; მოსჩანს მხოლოდ გურა-
დილი კისერი,

გაჩაჩისული ფეხები. მოსჩანს ავრეთვე შოღტის მოძრაობა...

და უსტი მკლავისა. ქალის სახეს კი ვეღარ გაარჩევთ.

სინათლის ვეება ჩანჩქერი ინთევა დასავლეთიდან პასატთა მიერ
მობერილი ღრუბლების ჯებირშე,

ოკეანე ბინდდება, ბრწყინავენ ცაშე მოჯარული ღრუბლები, ბინდი
ეცემა გორაკებს, დაუჯერებელი, აღვირახსნილი სიტურფე
მოიცავს საღამურ მიდამოს... არათუ მოიცავს, არამედ ამოდის მისი
წილიდან, როგორც ასპირინი

გაბრწყინებულ ცაშე. რას ამბობს მესია? „მე შევქმენ კეთილი. მე
შევქმენ ბოროტი. ეს მე ვარ, უფალი“.

II

ეს სანაპირო უხმობს ტრაგედიას, მსგავსად სხვა ტურფა აღგილე-
ბისა,

(მშვიდი აღგილები მოითხოვენ უფრო მშვიდ წამებას; მაგრამ ეს
გრანიტის ვეება კლდეები, კიპარისების მეჩხერი გვირგვინით,
რა მსხვერპლს ითხოვენ? წითელი ლავის რომელ მდინარეებს ან
რომელ შავ ტიტანს? ცეცქლის ენებად აწვდილი ქიმები
სობერანებთან, ამასირზენი მწვერვალები, მზით ანთებული სალი
კლდეები რა და რა ზვარაკებს ელია?)

ეს სანაპირო უხმობს ტრაგედიას, მსგავსად სხვა ტურფა აღგილე-
ბისა; მსგავსად კაცობრიობის მგზნებარე სულისა,

ტანჯვას ითხოვს საკუთარ საზრდოდ, „ზვარაკებს უფლისას“,
ტანჯვით სიკედილს, დასახიჩრებას: და მე ვთქვი გულში,
სჯობს გამოიგონო ამგვარი რამ, ვიდრე განიცადო: წარმოიდგინე
უბრალოდ მსხვერპლნი,



რათა თვით შენი საკუთარი სხეული არ იქცეს ზვარაკად ან, შენაუზე
შესწირო რაიმე არსება აღგილის სიტურფეს!

და ვთქვი აგრეთვე: „უკმიე ყოველ წელს მაგიურ, უცხო საშინე-
ლებას,

შორს, სახლის გარეთ, რაღან შენ ეს პატარა სახლი
ოკეანის პირად დაგიდგამს საკუთარ ხელით
ამ დახერგილი ლოდების გასწერივ: ან რანი ვართ ჩვენ,
თუ არა მხეცნი, ორ ფეხზე მავალნი, მოლაპარაკენი,
მეჩხერთმიანნი, ან რა უფლება გვაქვს,
ვიფიქროთ, რომ ნიადაგ ვიქნებით ჭერის მქონენი, ხელშეუხებნი,
თავდაჭერილნი?

ჩვენ, უბრალოდ, ოდნავ მეტი მოგვეთხვება, ვიდრე სხვა მსეცებს;
წამება, შიში, სურვილით შეშლა, — არსებითია ყველა ჩვენ-
თვის, არა შემთხვევითი;
ეს არის ბირთვი: წარმოვიდგინე უკვე მსხვერპლნი მე ამ მგლების-
თვის, მე შევუქმენი მათ აჩრდილები დასადევნებლად,
მათ ინადირეს აჩრდილებზე, გაცეივდნენ ბინიდან; ნუ დავივიწყებთ
ჩვენ იმას, თუ რაგვარ მორცვში
ჰპოულობს კვლავ თავის სიმშვიდეს კაცობრიული შშვენების
სული, — ფერცელი დამშენარ ყვავილისა, ზღვისკენ წაღე-
ბული ღამეულ ქარში“.

III

ბებერი დათვის კბილებივით დაბლაგვებულან ნაპირზე ევები.
ნიძარები გაფანტულან
მათ მიღმა, ქვიშაზე. მოქცევის გლდე ნადიმს უხდის მიცვალე-
ბულებს.

გრანიტის სიპებს აჩნიათ კვალი ძველი ცეცხლისა, ადგილობრივი
ტომის აჩრდილნი

იყრიბებიან ცეცხლის აჩრდილის გარშემო, ღამით, ცდილობენ
ხოლმე მოგონებას მზის სინათლისას.

რა ხანია, რაც შეაკვდა მათ ცას ნათელი, მათ მოიხადეს რაღაც ვალი
თავისი ქვეყნის მომავლის წინაშე,

მაშინ როდესაც ჩვენ, ცოცხლები, ჯერაც ვატარებთ ხსოვნას ძველა
მწერარებისას:

შური უფლისა არ წარმოადგენს უცილობელი ნგრევის საწყისს, მაგ-
რამ მაინც ნუ დავივიწყებთ, რომ ბოროტებას

ძალებს ღრუბლიდან ჩამოხმობა უეცარი შემახსენებლის: გახსენე-
ბული სიკვდილები გვიხსნიან ამრიგად;

წარჩოსახვით ნახული მსხვერპლი იქნებიან ჩვენი მშველელნი:
თეთრი, როგორც ნახვარმთვარე შეაღამისას,

ვიღაც ცეცხლოვანი ჩამიელის გვერდით და მეუბნება: „ეს მე ვარ,
ტამარ კოლდუელი,¹

მე მწვავს იდუმალი სურვილი“.

და როდესაც იგი ჩაივლის, ზღვის ხმაური ისევ აბრუნებს თავიანთ
კოშებში კაშგაშა ვარსკვლავებს,

... იწვის ტურფა მხარე პოინტ პინოსიდან სურის მდინარემდე,
... იწვის, როგორც უწინ, მწვავე საოცრება, მიწა, ოკეანე, კარმელის
წყლები.

IV

იგი ნაყავს კაცობრიობას ავანდასტაში, რათა გამოდენოს სურნელე-
ბა დაჩეჩქვილ ფესვთაგან: კაცი, ავ სიზმართა მხილველი,
მსხვერპლთა მომგონი, — არის მხოლოდ ამ ღვთის მაიმუნი.

¹ ჭეფერსის პოემის „ტამარის“ გმირი.

იგი განბანს კაცს საკუთარ ცრემლით, წყლით აურაცხელით, გამოს-
წვავს ცეცხლზე, წითელ კოჭობში,

სახეს დაუკარგავს, თავს შეაზარებს: გამოფრინდება სული სხეული-
დან და დგას შიშველი და იგიც უჭვრეტს ამ სულს.

მერმე იჭერს სულს შიშველ ექსტაზში, ლეწავს მას ხელით, იშლება
ატომი, ხოლო მისი შემჯმნელი ძალა

ეხმიანება გარსკვლავების წარმმართველ ძალას: „მე დავუბრუნდი
ჩემს ბინას, ჩემს თავს, აპა, შემომხედვე.

მე დავიჩიჩქვე ჩემივ თავი კაჟის ფილთაქვით, გამოვიბუგე ჩემივ
თავი წითელ ნიჟარაში, შემდეგ ვეწამე, გამოვფრინდი, დავ-
დექ შიშველი, გავთავისუფლდი ჩემივ თავისგან და დავი-
ღეწე.

ამჟამად აქ ვარ და ვაბრუნებ გარსკვლავებს, რომელთაც ვეკუთვნი“.

მე მინახავს ამგვარნი ქმნანი უფლისანი, მაგრამ არ ვეწყი მათი
მიზეზი, ამ ცეცხლის, ცვალების, წამების და ხელახლი დაბ-
რუნებების.

მას საკმარისად მიაჩნია დუმილი. მე ვფიქრობ, ისინი არც ითხო-
ვენ მიზეზს რაიმეს, — ისინი ჩემი სიყვარულის საგნები
არიან.

განუზომელი სიძლიერე, ვნება უჩვეულო, სიმარჯვე საზარი:

არავითარი აზრი გარკვეული და მხოლოდ მკრთალი წვა
თვისივე ბოლით ჩახშობილი ადამიანის ტვინის თაღებქვეშ: არავი-
თარი გარეშე აზრი: მხოლოდ ზომა გარკვეული ფენომენისა,
შადრევნები მდეღარე გარსკვლავთა, კონცხზე ყვავილები და მარა-
დის შემოქცევადი გარდები აისის.

ფრთის მოტებილი ძვალი მოსჩანს გახვრეტილ მხრიდან,
 ფრთა ძირს უთრევა, ვით ალამი ძლეული ლაშერის,
 ცა დახშულია სამუდამოდ, რამდენიმე დღეს
 გასტანს ალბათ შიმშილი და უზომო ტანჯვა: მგელი ან კატა
 შეამოკლებენ დღვებს სიკვდილის მოლოდინისას, შეწყდება
 უბრჭებალო თამაში.

მუხის ჩირგვთან დგას და მოელის
 ფეხათრეული გადარჩენის ჩქამს; ღამღამობით ახსენდება
 თავისუფლება,
 სიზმარში ფრინავს, ხოლო დილა ისევ აქარწყლებს მის მტკნარ
 ოცნებას,
 ძლიერთათვის სატანჯველი უფრო მწვავეა, სინაკლულის გრძნობა —
 მომსპობი.

სოფლის ძაღლები მოდიან და ახელებენ მას შორიდან;
 მხოლოდ მხსნელ სიკვდილს შეუძლია მისი მოდრევა:
 ამ შეუვალი მზადყოფნის, ამ საშინელ მზერის.
 და სამყაროს ველური ღმერთი ხშირად წყალობას იჩენს ხოლმე
 მათდამი, ვინც შველას ითხოვენ. გელამაყებს კი არ სწყალობს იგი.
 შენ მას არ იცნობ, ჩვეულებრივ ადამიანო, ანდა იგი დაგვიწყებია.
 თავაწყვეტილი, ველური ქორი კარგად იცნობს მას.
 გარეულ ქორებს, ღამაზ ქორებს და განწირულ ადამიანებს ახსოვთ
 ის მხოლოდ.

II

მე კაცს უფრო მოველავ, ვიდრე ქორს, მაგრამ ვეება ბოლოწითელას
 აღარაფერი შერჩენოდა, გარდა საბრალოდ დაკიდებულ ფრთისა,
 70

რომელიც მორჩინის იმედს არ იძლეოდა, ბასრ კლანშემცვევი
ებლანდებოდა სიარულის დროს.

ექვსი კვირის განმავლობაში ვაჭმევდით მას, შეტყეგ გავეშვი, და-
ვუბრუნე თავისუფლება.

იგი აფოროთხდა კონცხის ბექობზე და საღამოთი კვლავ მობრუნდა,
მთხოვა სიკვდილი,

არა როგორც მათხოვარმა, არამედ მკაცრად,

ძველებურის, შეუვალის გულზეიადობით:

მე საღამეულ ბინდში ვაჩუქე მას ცხელი ტყვია. და რა სიმტკიცი
დაიშალა, რა შემართება! რა ფაფუკი ბუმბლი დაცვივდა!

ერთი მაინც წამოიწია (ერთი მძაფრი გაბრძოლება: ღამის ყანჩე-
ბის მფრთხალი წივილი დამდორებულ მდინარის პირად) და
სამუდამოდ გამოეყო რეალობის ზღვარს.

თვალი

ატლანტიკის ოკეანე მღვლვარე წყლით სავსე თხრილია;
ხმელთაშუა ზღვა — დაბურულ ბაღში ღარჩინილი ცისფერი გუბე;

ხუთი ათას წელზე მეტია, მსხვერპლად იწირავს

ადამიანებს, სისხლს, ხომალდებს და ლაპლაპებს მზის სინათლეზე;

სულ სხვაა წყნარი ოკეანე — ჩვენი გემების, ჰაეროების,

ომების მიმართ განუჩრჩეველი.

არც აწინდელი სისხლისძიება გულმოცემული გაცუნებისა,

არცთუ მომავლის რომელიმე მსოფლიო დავა დასავლეთით ან
აღმოსავლით დაძრულ ერების,

არც რომელიმე სისხლიანი გადანაცვლება ხალხებისა, ძალის გა-
მოცდა, შეჯახება რწმენათა შორის,

არ წარმოადგენს ლაქასაც კი ამ ვეება სასწორის ჯამშე.
ამ კლდოვანი ნაპირიდან სჩანს, თუ ვით ჰქონდიან ^{ტრადიციული} ში
კონცხნი,
დელფინების დარად ვით ყველავენ ზღვისფერ ბურუსში,
ზავდებიან ფერდაკარგულ პორიშონტებში — შეხედეთ წყლის
ვეება გორას: პლანეტის ნახევარს:
ვეება გუმბათს, ნახევარგლობუსს,
ამ გადმიყაყლულ გუგას წყლისას, თაღისებურად
რომ უერთდება შორეულ აზიას,
აყსტრალიას და ოეთზ ანტარქტიდას: აი, მისი მოუხუჭავი
ქუთუთოები,
ეს არის ოვალი დედამიწისა, მარადის ღია და უძილარი,
იგი ჩვენს ომებს როდი უცემერის.

ელენე

მთელს საბერძნეთს სძულს
ეგ თეთრი სახე და ეგ მშვიდი თვალები,
ზეთისხილის რულს
რომ პფენინ გარემოს ჩუმი ბრწყინვალებით.
მთელს საბერძნეთს პქირდავს
ფერმერთალი სახის უზადო ღიმილი,
სითეთრე სახისა
არის გარდასულთა ვნებათ გახსენება,
ჩუმი სიმძიმილი.
საბერძნეთი სჭვრეტს
ქალღმერთს გახვებულს,
ძეს სიყვარულისას;
ცივი ტერფების მშვენება,
ო, თეთრი მუხლების სინაზე გრძნეული!
ეყვარებოდა თეთრი
ასულის ფერფლი,
სამგლოვიარო კიპარისების ჩრდილში გაბნეული.

ქარიანი ღამის რაჭსოდია

თორმეტი საათი.

შორს გაწოლილი ქუჩები,
მთვარეულ სინთეზით შეკრული ქუჩები,
მთვარეულ შელოცვის დუდუნით,
სართულებად შლიან მოგონებებს.
მათი თვალნათლივი მიმართებანი,
დანაყოფები, დაზუსტებანი,
ქუჩის ყოველი ფარანი, რომელსაც გვერდს ვუვლი,
უკრავს თითქოსდა ფატალურ დაფდაფს,
და ძნელ სიერცეში
შუაღამე არსევს მოგონებებს,
როგორც შეშლილი გამხმარ გერანიუმს.
ორის ნახევარი.

შიშინებს ქუჩის ფარანი.

ჩურჩულებს ქუჩის ფარანი.
ქუჩის ფარანი ამბობს: „შეხედე იმ ქალს,
შენსკენ მოისწრაფვის იგი
ქარის სინათლეში,
რომელიც მის უკან გაიღო მცინარე პირივით.
შენ ხედავ მის კაბის კალთას,
მიწით დასვრილს და დახეულს,
შენ ხედავ მის თვალის უპეებში

ქინძისთავებად დაგრეხილ ნაოჭებს“.

ხსოვნა ამოისვრის

დაგრეხილი სავნების გროვას:

დაგრეხილ ტოტს ზღვის სანაპიროზე
ტალღისაგან გამოხრულს, გახეხილს, —
თითქოსდა გასთევაო სამყაროშ
თავისი ჩონჩხის საიდუმლო, —
თეთრის, გასლიპულის.

უანგმოკიდებულ ზამბარას, ქარხნის ეზოში
მტკიცედ დაგრეხილს, მაგრამ უვარებისს.

სამის ნახევარი.

ფარანი ამბობს.

„დააკვირდი ტალახში გაწოლილ კატას,
როგორ გამოპყო ენა და შესვლიპა
დამძალებული კარაქის ნარჩენი“.

ასევე გამოპყო ბავშვმა ხელი და
ავტომატურად ჩაიდო ჯიბეში თოჯინა
ხილის ქვაფენილზე დაგორებული.

მე ვერაფერი დავინახე ბავშვის თვალებში.

მე მინახავს ქუჩაში თვალები,
განათებულ დარაბებში რომ ცდილობდნენ შეჭვრეტას,
მინახავს კიბო, შუადღისას, თავის გუბებში,
ბებერი კიბო, ზურგზე ასთაკვებით,
ეჭიდებოდა ჩემი სტეკის მეორე ბოლოს.

წარ

ოთხის ნახევარი.

შიშინებს ქუჩის ფარანი.

ჩურჩულებს ქუჩის ფარანი.

ქუჩის ფარანი ამბობს:

„გახედე მთვარეს

La Luna ne garde aucune rancune¹

მიმქრალი თვალების პაჭუნით

უღიმის იგი ჩაბნელებულ შეკებს.

თმაზე ხელს უსვამს მდელოს, ეფერება,

მთვარეს დაუკარგავს მეხსიერება,

ჩუტყვავილა მოსდებია ქათქათა სახეზე.

ლალი ხელით ფშვნის ქაღალდის ვარდს, რომელსაც ასდის
მტვრისა და eau de cologne²-ის სუნი.

იგი მარტოა

ყოველგვარ ღამეულ სურნელებათა პირისპირ,

რომელნიც სჭყლეტენ და სჭყლეტენ მის ტვინს.

მოსცერავენ მოგონებები:

უმზეოდ დამჭერარი გერანიუმები

დამტვერილ ქოთნებში,

ქუჩის პირას დარგული წაბლების სუნი,

ქალების სუნი დახშულ ოთახებში,

სიგარეტების ბოლი დერეფნებში,

კოკტეილის სუნი ბარებში.

ქუჩის ფარანი ამბობს:

„ოთხი საათია,

აგერ გამოჩნდა კარზე ნომერი,

მეხსიერებავ!

შენ გაქვს გასაღები.

1 მთვარე არ მაღავს არავისადმი სიძულვილს (ფრ.)

2 რდეკოლონი (ფრ.)

პატარა ფარნის წრიული შუქი არეკლილა კიბეჭე.
 ადი.

ლოგინი დაგხვდება გაშლილი. კედელზე პეიდია
 კბილის ჯაგრისი,
 კართან დააწყვე ფეხსაცმელები, დაიძინე, მოამზადე
 ცხოვრებისათვის სხეული.
 დანის უკანასკნელი ზვეული.

პაცის ზიტულები

1

Mistah Kuritz — ივი შევლარია.

კაცის ფიტულები ვართ
 თივით დატენილნი.
 ერთგან თავმოყრილებს
 თავები სავსე გვაქვს თივით
 და ოდეს ვჩერჩულებთ
 ხმაჩახლეჩილნი,
 უაზროდ და ყრუდ
 გაისმის ხმა ჩვენი,
 ვით გამხმარ ბარდებში
 ქარი მოზუზუნე,
 ან ვირთხის ფაჩუნი
 ნესტიან სარდაფში.

ხატება — უფორმო, ჩრდილი — უფერო.
 ძალა — გატეხილი, უსტი — გაყინული, ამ!

და ვინც მიაღწია
 მზერაგამართულმა სიკვდილის საუფლოს,
 ჩვენ როდი გვიგონებს,
 როდი გეხატებით
 ვით სულით მძლავრნი
 და აშ დაკარგულნი,
 არამედ როგორც
 კაცის ფიტულნი
 თივით დატენილნი.

||

თვალები, რომელთაც ვერ ვუძლებ სიზმარში
 სიკვდილის სიზმარულ საუფლოს წიაღში
 არ სჩანან:
 არიან თვალები —
 შზის შექი წაქცეულ სვეტებზე
 ხეა მოშრიალე და ღამის წყვდიადი
 გაისმის ხმები
 და ქარის სიმღერა
 უფრო შორეული და უფრო დიადი,
 ვიდრე გადამჭრალი ვარსკვლავი.
 მოდი ნულარ მივეახლები
 სიკვდილის საუფლოს,
 მოდი გადავიცვა

საფრთხილო ნიღაბი:
 ვირთხის ქათიბი,
 ყორნის ტყავი
 ან საფრთხობელა
 ველზე დადგმული
 ქარს რომ აპყოლია
 ო, მეტად ნუღარ —

ის საბოლოო პაემანი
 მწერის საუფლოში.

III

მკვდარი მიწაა ქს მიწა,
 გაქტუსის მიწა,
 ქვის ქანდაკებები
 აღმართულან აქ ცის თაღამდი,
 რათა შეისმინონ
 მიცვალებულთა ხელების ღაღადი
 შიმქრალი ვარსკვლავის შექჩე.
 ასევეა
 სიკვდილის მხარეში
 ძილფხიზლობა,
 წამი, როდესაც
 ვცახცახებთ სინაზით
 და ჩვენნი ბაგენი,
 კოცნას დაჩვეულნი,
 დამსხვრეულ ქვისადმი აღმოსთქვამენ ლოცვას.

აქ აღარ სჩანან ის თვალნი,
 აქ აღარ არიან თვალნი
 მომაკვდავ ვარსკვლავთა ველზე,
 ამ უდაბურ ველზე
 ჩვენს დაკარგულ საუფლოთა გაბზარულ კართან.

ამ უკანასკნელი შეხვედრის აღგილას
 ვფათურობთ ბნელში,
 ვერიდებით საუბარს
 მღვრიე მდინარის პირად თავშეცურილნი.

უსინათლოებს გვეძლევა
 ხელახლა ხედვა,
 მარადიული ვარსკვლავი,
 ვარდი შტომრავალი
 მწესრის საუფლოსი,
 ერთადერთი იმედი
 ცარიელ კაცთა.

აა გარს შემოვიდეთ დედინაცილის მნას,
 დედინაცილის მნას, დედინაცილის მნას¹
 აა გარს შემოვიდეთ დედინაცილის მნას
 დილის ჩათ საათზა

¹ თაცულია დედნის პუნქტუაცია (მთარგ. შენიშვნა).

ఒడ్డువాల్పుర్న డా
 ర్యాల్పుర్ శింరిస
 శించరాంధాస డా
 జీమ్మెడ్జెబాస శింరిస
 ఎప్పేమిం అహిర్ధిల్లి,

కుంటా జెని ఆస సెశమ్మా

అల్జీమింసా డా
 అసాక్ష్వాస శింరిస
 గ్రమోప్రాసా డా
 చురాక్ష్వాస శింరిస
 ఎప్పేమిం అహిర్ధిల్లి

ఉపరిశీలన ఆస డుష్టుశుద్ధిపాల

స్తుర్వెగ్గిల్సా డా
 గ్రూన్బిథ్గాస శింరిస,
 శ్యేగ్గెబాసా డా
 అరుసుంధాస శింరిస
 శిండా అరుస్సా డా
 డాఖ్మిం స్వెల్సా శింరిస
 ఎప్పేమిం అహిర్ధిల్లి,

కుంటా జెని ఆస సెశమ్మా

రామ్మెత్తె శ్యేని ఆస
 ప్రశ్నప్రశ్నెబా
 రామ్మెత్తె శ్యేని ఆస

ასე მთავრდება ეს ჯეტისოფელი,
 ასე მთავრდება მს ჯეტისოფელი,
 ასე მთავრდება ეს ჯეტისოფელი,
 არა გრილით, არამარ ცლავაით.

პიპოვოტაში

პიპოპოტაში ზურგგანიერი
 ლაფში ჩაფლული არავის უტევს,
 თუმც ჩვენთვის მოსჩანს იგი ძლიერი —
 სისხლის და ხორცის გუდაა ფშეტე.

ხორცი ყოველი სუსტია, ხრწნადი,
 ურვით და შოკით მუდამ ვნებული, —
 ღვთის ტაძარი კი მაღლდება ცამდი,
 იგი კლდეშეა დაფუძნებული.

პიპოს ძაბუნი ფეხი ეშლება,
 შებოჭილია მიწიერ გარსით,
 ხოლო ტაძარში უკვდავი ნება
 მკვიდრობს უქცევი სამების არსით.

პოტაშს არ ძალუქს მანგოს ტოტიდან
 მოსწყუიტოს მანგოს მწიფე ნაყოფი,
 წმიდა ტაძარს კი ყოველის მხრიდან
 შემოსდის ხილი, წლისთვის სამყოფი.

ამჟღვნებული პოტამის ღრიალს
წაიღებს ყოფის მტკნარი სიზმარი,
ხოლო ტაძარში ზარების წკრიალს
ისმენს ყოველი დიღა ცისმარი.

ტილში იღევა პიპოს დღები,
ღამით ნადირობს იგი ეულად,
ღვთიურ საქმეს კი პყავს შემწევები:
ტაძარი სოვლემს და პქმნის ზეშეულად.

ვნახე, პოტამმა შეისხა ფრთები,
დასტოვა ოდეს მშრალი სავანა,
და ანგელოსთა თეთრმა გუნდებმა
მას უგალობეს ციური ნანა.

კრავის სისხლით როს განიბანება,
ეზიარება ციურ დარბაზებს,
შემოერტყმიან გარს წმინდანები,
დაუკრაეს იგი ოქროს არფაზე;

გათეთრდება ვით პირველი თოვლი
და ვით მარტვილი ქალწელის მკერდი,
ხოლო ტაძარი რჩება მიწაზე,
გვლავ იდემალი და ერთადერთი.

„ბოსტონი ივნინგ ტრანსკრიპტის“ მკითხველნი
შწიფე თავთუხის ყანასავით ირწვევიან ქარში.
როცა საღამო მიისტრაფის დაბინდულ ქეჩებში,
ზოგ-ზოგში აღვიძებს ცხოვრების მადას,
ხოლო ზოგს ურიგებს „ბოსტონი ივნინგ ტრანსკრიპტის“,
ავდივარ კიბეზე, ვრეგავ ზარს, დაღლილი,
კიბრუნებ კისერს, თითქოს მსურდეს თავის დაკვრა

როჩეფუკოლდისთვის,
თითქოს ეს ქუჩა დრო იყოს და თავათ ვიდგე ამ ქუჩის ბოლოს,
და გამბობ: „აი ჩემო პარიეტ, აგერ მაქვს „ბოსტონი ივნინგ
ტრანსკრიპტი“.

პოვიდან „ოთხი პერტიტი“

უამი აწმყო და უამი წარსული
აღმათ არსებობენ მომავალ უამში.
უამი წარსული შემცელია მომავალისა.
თუ მთელი უამი არის აწმყო მარადიული,
ვერარა შესაძლებს გამოსყიდვას უამიერისას.
რაც შესაძლოა მომზღარიყო, — აბსტრაქციაა,
მარადიული, უწყვეტელი შესაძლებლობა
სპეციალის სამყაროში.
რაც უკვე მოხდა, ან რაც იყო შესაძლებელი,
მცეთითებენ ერთ წერტილზე, — მხოლოდ აწმყოზე.
ნაბიჯთა ჩქამი ისმის ხსოვნაში, ცარიელია

ვარდნარისაკენ მიმავალი ვიწრო ბილიკი.

ჩენ არ დაგვიდგამს მასზე ფეხი, არც შეგვიღია
 დახშული კარი ვარდნარისა. უქოდ გაისმის
 თქვენს გონიერაში ეს სიტყვები.

მაგრამ რა მიზნით

შემოაცალეს ვარდის ლარნაკს მტვერი ანაზდად,
 მე აღარ ვუწყი.

სხვა ექოებიც

მკიდრობენ ბაღში.

მაშ მიგსდიოთ? მალე, სთქვა ჩიტმა,
 მალე დასძებნე ექოები ბაღის კუნჭელში,

იქნებ შევაღოთ პირველი კარი

ჩვენი პირველი სამყაროსი, იქნებ მიგსდიოთ

შაშვის ოინებს? მა, პირველი ჩვენი სამყარო.

აქ ღირსეულად, უხილავად დამკვიდრებულან,

წნევის გარეშე მოძრაობდნენ დამჭერან ფოთლებზე,

ჩიტი იძახდა და მის ძახილს უერთდებოდა

ბუჩქნარის ტევრში მიმალული უხმო მუსიკა.

და თვალთა სხივი უხილავი გადაიკვეთა,

ვარდები პგავდნენ ხილულ ვარდებს, ხილვად კეთილნი,

ჩვენს სტუმრებს პგავდნენ პატიჟითაც, თავპატიჟითაც,

ჩვენ გზა განვაგრძეთ, ფორმალურად მოგვეყნენ ისინიც,

გამოეიარეთ ხეივანი უკაცრიელი, დამშრალი გუბის სანახავად

ბზის ბუჩქთა ტევრში.

დამშრალი გუბე, ყავისფერი ბეტონის ძგიდვე,

მერმე ეს გუბეც წყლით აივსო მზის სინათლისგან,

იქვე ლოტოსი გაიზარდა მშვიდად, სულ მშვიდად,

და ზედაპირი კვლავ გაბრწყინდა სინათლის გულში,

ჩვენს უკან იყვნენ, გუბის წყალში ირკვლებოდნენ,
გადაუარა ღრუბლის ქულამ ცარიელ გუბეს.

წამო, სთქვა ჩიტმა, ეგ ფოთლები ბავშვებით სავსე, იდუმალ
იდუმალ სიცილს შეიცავდნენ, ფარელ აღგზნებას,
წამოდი-მეთქი, მითხრა ჩიტმა, კაცთა ნათესავს
ესოდენ დიდი რეალობის არ ძალუძს განცდა.

უამი აწმყო და უამი წარსული
რაც უკვე მოხდა, ან რაც იყო შესაძლებელი,
მიუთითებენ ერთ წერტილზე — მხოლოდ აწმყოზე.

* * *

მე ხშირად ვფიქრობ, იქნებ ამას გულისხმობს კრიშნა,
იქნებ ამრიგად გამოხატა საუწყებელი:
რომ მომავალი სიმღერაა მიჩუმებული, სამეფო

ვარდი ან ლავანდის ნატიფი ყლორტი,
წიგნის ყვითელ ფურცელთა შორის,
წიგნის, რომელიც ჯერ არავის გადაუფურცლავს.
ის სინანულის საგანია მათვის, ვინც ჯერაც
აქ არ მოსულან სინანულის გამოსავლენად.
და რომ გზა აღმა მიმავალი არის დაღმართი,
ხოლო წინსელა არის უკუსელა.

ჩვენ თვალი უნდა გავემართოთ ჭეშმარიტებას:
უამი არ არის მკურნალი, რადგან
პაციენტი მას აღარ უცდის.

მატარებელი როს დაიძვრის, მისი მგზავრები
ხილით, გაზეთით ერთობიან, ან ჟურნალებით,
(გამცილებელნი კი სტოვებენ ამ დროს პლატფორმას),
სინანულს შვება ენაცვლება მათ სახეებზე



და ასეული საათების მთვლემარე რიტმი
 აცილებს მგზავრებს.

წინ მოგზაურონ! წარსულს ნურავინ გაექცევით
 სხვა ცხოვრებისკენ, ან მომავლისკენ,
 თქვენ იმ ხალხისაგან განსხვავდებით, ვინც
 დასტოვა წელან ბაქანი,

ან სხვა სადგურზე იცდის ახლა, მაშინ როდესაც
 აქ თქვენს ზურგს უკან ლიანდაგნი ვიწროვდებიან.
 ხმაურიანი გემბანიდან როდესაც უმშერთ,
 ვით ფართოვდება გემის უკან ქაფქაფა ჭავლი,
 ხომ არ იფიქრებთ: „მოკვდა წარსული“,
 ან „მომავალი წინ მიგველის“.

დაღამებისას კი, ანძებში, მავთულებიდან
 მოისმის ხოლმე ხმა ყურთაგან მოუსმენელი:
 ეს დროის ხმაა, მოზუშუნე რუპორი დროის,

იგი არა ჰგავს არც ერთ ენას,

იგი მოგმართავთ:

„ვინც მოგზაურად რაცხავთ თქვენს თავს, მარად
 წინ გასწით,

თქვენ იმ ხალხისაგან განსხვავებით ვინც ნავთსაყუდარს
 ჯერაც შესცეკრის, ან რომელიც უნდა გადმოსხდნენ.
 აქაურობას და მომავალ ნაპირებს შორის
 დროის გარეშე, ერთნაირად განგესაზღვროთ თქვენ

წარსული და მომავალი

წამში, რომელიც ქმედებას და უმოქმედობას
 აერთიანებს. თქვენ მიიღებთ გამოცხადებას:
 „ყოფიერების ნამდვილ სფეროს მიაპყრობს მზერას
 კაცის გონება სიკვდილის უამს“ —

(ხოლო სიკედილის ქაში არის ყოველი წამი).

აი ქმედება,

რომელიც ნაყოფს გამოიღებს სხვათა ყოფაში.

გასწით, წინ გასწით

მოგზაურნო, თქვენც მეზღვაურნო,

ნავთსაყუდელი ვინაც პპოვეთ ან ვის სხეულიც
 ჯერაც განიცდის სისასტიკეს ზღვის სამსჯავროსას,
 ან სხვა ფათერაქს. აი თქვენი ნამდვილი წერა“.

ასე რომ კრიშნა, კვლავ ისე, ვით არჯუნასთან

სიტყვისგებისას,

განაგრძობს ყოფნას ბრძოლის ველზე.

განა ნახვამდის,

განა მშვიდობით,

წინ, მოგზაურნო.

* * *

ასულო, კონცის საკურთხევლის დამამშვენებო,
 ილოცე მათთვის, ვინც გემებში სხედან ამეამად,

ვინც თევზაობს ან ვინც ეწევა

ხელობას რასმე სასარგებლოს, ილოცე მათთვის.

ლოცვა წარმოსთქვი

იმ ქალთათვის,

ვინც გააცილეს საზღვაოსნოდ ქმრები, ვაჟები,

რომელნიც ჯერ არსად სჩანან

Figlia del Tuo Figlio¹

¹ საკუთარი ვაჟის ასულო—(იტალ. დანტესევლი ეპიტეთა ღუთის—შობლისა).

დედუფალო ზეცისაო.
 ლოცვა მათვისაც აღავლინე ვინც იყვნენ გემზე,
 ვინც დაასრულა თვისი მკზავრობა,
 ვის დაეწაფნენ ზღვის ბაგები,
 ვინაც ზღვაშ შთანთქა თავის წიაღში,
 სადაც მათ ვეღარ მისწვდებიან ზღვის ზარის ხმები
 და გოდება განუწყვეტელი.

პრეზიდან „იავარძენილი მიზა“

დ ა კ რ ძ ა ლ ვ ა

უმკაცრესი თვეა აპრილი,
 აღმოაცენებს
 მკვდარი მიწიდან იასამანს,
 იცის შერევა
 სურვილისა და მოგონების,
 გაახალისებს
 პირქუშ ფესვებს შეზუნა წვიმით.
 ზამთარმა თბილად შეგვინახა, მიწას მოპოვინა
 დავიწყების თოვლი,
 გამოაშეშა
 ჩემი სიცოცხლის ნატამალი მშრალ ტუბერებში.
 ხოლო ზაფხულმა განვაცვიფრა, შტარნბერგერზეზე
 კოკისპირული ლეშტერებით გაინავარდა.
 კოლონადაში შევისვნეთ მცირეოდენი,
 შემდეგ მივყევით მზიან შარას პოფგარტენისკენ.

ყავა მივირთვით, ვისაუბრეთ ერთი საათი.

Bin gar Keine Russin stamm' aus

Litauen, echt deutsch¹



და როდესაც ვიყავით ყრმანი,

ვრჩებოდით ხშირად ერცჰერცოგთან, ჩემს ბიძაშვილთან,

იგი ციგაზე მომისვამდა, მე მეშინდა,

მარი, იცოდე, არ შეუშვა სახელურს ხელი,

აგრე მეტყოდა, და მივქროდით თავდაღმართებში,

რა თავისუფლად გრძნობს კაცი თავს მთებში ყოფნისას.

ვკითხულობ ხოლმე დამღამობით, ზამთრობით კი სამხრეთს ვეწვევი.

ეს რა ფესვები დაპკრობია ამ კლდოვან ქანებს,

ეს რა შტოები ამოყრილან? ძეო კაცისავ.

შენ თქმა არ ძალგიძს, არც მიხვედრა, რამეთუ იცნობ

მხოლოდ და მხოლოდ დამსხვრეული ხატების გროვას,

მზით შუქმოფენილს²,

მკვდარი ხე აღარ იძლევა საფარს³,

ჭრიჭინა — შვებას,

გამომშრალ ქვებზე აღარ ისმის წყაროს ქლურტული,

აჩრდილიღა შემორჩენილა წითელი კლდისა

(გადაიჩრდილე ამ წითელ კლდესთან),

და მე გიჩვენებ სხვა რაღაცას, გარდა იმისა,

რასაც შენ ხედავ: დილაობით ადევნებულ ჩრდილს,

საღამოთი კი შემხვედრად მავალს,

მე შენ გიჩვენებ შიშს მტვრის გროვაში.

1 რესი არა ვარ, გერმანელი ვარ ლიტვიდან წამოსული.

2 ეზეკიელი II, I.

3 ევლეზიასტე XII, V.

Frisch weht der Wind
 Der Heimat zu
 Mein Irisch Kind
 Wo weilest du?¹

გახსოვს, სუმბული მისახსოვრე ერთი წლის წინათ,
 „სუმბულის გოგოს“ მეძახდნენ მაშინ,
 სუმბულის ბაღიდან რომ ვბრუნდებოდით,
 შენ სავსე გქონდა ეგ მკლავები, თმა დაგისველდა,
 თვალთ დამიბნელდა, ვერას ვამბობდი,
 ვუმზერდი ნათელს, გულს ნათლისას, სიჩუმეს.
 Oed und leer das Meer².

მადამ სოსოსტრისს, ცნობილ ნათელმხილველს,
 სურდო შეპყრია. მას იცნობენ მთელს ევროპაში,
 როგორც უბრძნეს ქალს, კარტებით მკითხავს.
 მისი სიტყვები:

„აი, თქვენი კარტი. ფინიკიელი დამხრჩალი მატროსი.
 (ეს მარგალიტები მისი თვალებია, შეხეთ მარგალიტებს!)
 აი, ბელადონა, კლდევთის ქალი, გარემობათა ქალი.
 აი, მამაკაცი და სამი დვირე, აი ბორბალი,
 აქვეა ცალთვალა ვაჭარი, ეს თეთრი კარტი ტვირთს ნიშნავს,
 რომელსაც
 იგი დაატარებს. მე აკრძალული მაქვს ტვირთის
 დანახვა. ვეღარ ვპოულობ
 ჩამოხრჩობილ კაცს. ერიდეთ წყალში სიკვდილს.

¹ საშობლოს მხარეს უბერევდა გრილი ნიავი, სადა ხარ ჩემთ ირ-
 ლანდიელო ყრმაო? (ერ. Tristan und Isolde, I, ლექსი 5—8).

² უდაბური ზღვა.

მე ვხედავ ბრძოს, რომელიც წრეს უვლის.

გმადლობთ. როდესაც შეხვდებით ძვირფას მისს უკვიტოს უთხარით, თავად მივართოვთ პოროსეობს.

დღევანდვილი დღე სიფრთხილეს ითხოვს“.

ირრეალური ქალაქი

ზამთრის ალიონზე

ყავისფერ ბურუსში

ლონდონის ხიდი დაფარულა უშქარი ბრძოთი,

არა მგონია, სიკვდილს მეტი რომ წაელეკოს.

ხანდისხან ჩუმი კვნესა გაისმის,

არც ერთი არ იხედება საკუთარ ცხვირს იქით,

აქებენ აღმართს, მიპყვებიან კინგ უილიამსს,

სადაც იმ წმინდანს, მერი ულნოთს პქონდა საათი,

შეკვდარ ხმას რომ იღებდა ცხრის დარეკვისას,

მანდ თვალი ვეიდე ერთ ნაცნობს და

„სტენტონ!“ შევძახე,

„აბა თუ გახსოვს მილეს გემები?“

გახსოვს ის გვამი, შენს ბალში რომ დარგე გასულ წელს?

თუ გაიხარა? წლეულს თუ აყვავდა?

ყინვამ უეცარმა ხომ არ ავნო სარეცელს მისას?

ო, ეგ ძაღლი შორს იყოლივ, კაცის ერთგული,

თორემ ამოთხრის მას მიწიდან ბასრი ბრჭყალებით.

პედ! Hypocrite lecteur! mon semblable,

mon frere! ¹

¹ ქეი, გაიძერა მკითხველო! ჩემთ მსგავსო, ჩემთ ძმავ! — ახ. ბოდლე-
რის „პორტების ცვავილების“ შესავალი.

წყალში სიკვდილი

ფინიკიელ ფლებასს, ორი კვირის მეცდარს,
 გადაავიწყდა თოლიების კვნესა, ზღვაური,
 მონაგები და წანაგები.

წყალქვეშა დინებამ
 მისი ძვლები ჩაითრია ჩუმი ქშეილით. იგი
 აღზევდა და კვლავ დაქანდა,
 განვლო სიჭაბუის, ყრმობის ეტაპები
 მძვინვარე მორევში.

წარმართი ხარ თუ პურია, ო მოგზაურო.
 საჭეს თუ მართავ, ქარს მინდობიხარ,
 მოიხსენე ფლებას, რომელიც ერთ დროს
 იყო შენსავით მშვენიერი და ახოვანი.

მეხის ნათქვამი

მაშინ ჩირალდნის შექი აწითლებდა გაოფლილ სახეებს !
 მაშინ გამყინავი სიჩუმე იდგა ბალებში
 მაშინ აგონია ქვიან ადგილებში მოთავდა
 ღრიალი კივილი
 ცახუ და სასახლე და ჰექა-ჟეხილის
 საგაზაფხულო გუგუნი გაისმა შორეულ მთებში
 ის ჯინც ცოცხლობდა — მქედარია
 ჩვენ, ვინც ვცოცხლობდით — ვკვდებით,
 მცირე მოთმინებით.
 აქ არ არის წყალი არის მხოლოდ კლდე

¹ დაცულია დელის პუნქტუაცია (მთარგ. შენიშვნა).

კლდე და სიმშრალე შარაგზა ქვიშაში
 შარაგზა უხვევს ზევით მთებისკენ
 და ეს მთებია უწყლო კლდეები
 დასალევად შევდგებოდით რომ იყოს წყალი
 მაგრამ კლდეეთში გვეკარგება გონების ძალი
 ოფლი შრება და ცხელ ქვიშაში გვეფლობა ფეხი
 წყალი რომ იყოს ამ გაშიშვლებულ სალ კლდეებს შორის
 შეისრუტავდა მას ამ მკვდარი მთის კბილჩამპალი ვეება მძორი
 აქ ვერც დაწვები უერც დადგები ვერც ჩაიმუხლებ
 თავად სიჩუმეც აღარ არის მთებში
 მხოლოდ შრალი და უნაყოფო ქუხილიდა შემორჩენილა
 თვით მარტოობაც აღარ არის მთებში
 მხოლოდ წითური და შემზარავი სახეების ღრენა-ღიმილი
 ტალახით ნაშენი სახლების კართან
 რომ ყოფილიყო წყალი

არ ყოფილიყო კლდე
 რომ ყოფილიყო კლდე
 და მასთან წყალი

წყალი
 წყარო
 ტბორე კლდეებში დაგუბზეული
 წყლის შხეილი რომ ისმოდეს მარტოდენ

არა cicada¹
 არა სიმღერა მშრალი ბალახის
 არამედ წყალი კლდეზე მოჩუბჩუბე
 საღაც შაშვი — განდეგილი გალობს ნაძეებში

¹ კალია ერთგვარი.

წერა-წერა-წერა-წერა-წერა-წერა
მაგრამ არსად სჩანს წყალი.

ვინ არის ეგ მესამე დღენიადაგ გვერდით რომ დაგუვება?

როდესაც ვითვლი მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ

როდესაც ვუცემ ამ თეთრ შარაგზას

შენ ვიღაც მეორე მოგყვება უკან

ელგარე — ყავისფერ მოსასხამიანი, თავსაბურიანი

ვერ გამირჩევია — ქალი თე კაცი

— მაგრამ ვინ არის ეგ მესამე გვერდით რომ დაგუვება!

რა არის ეს ხმა რომ გაისმის ჰაერში ზევით

დედობრივი შეცხადების მწარე ჩერჩელი

ვინ არაან ეს კოწოლიანი ურდოები

ამ თვალუწვდენელ ტრამალებზე რომ სტკეპნიან დახეთქილ მიწას
პორიშონტის ბრტყელი კამარა საზღვრავს მათ მხოლოდ

რა ქალაქია იმ მთებს გადაღმა

გეგუნი გარდაქმნები აფეთქებები იისფერ ეთერში

ეცემიან კოშკები

იერუსალიმი ათენი ალექსანდრია

ვენა ლონდონი

ირვალური

ქალი ჩამოიშლის გრძელ შავ დალალებს

გაისმის სიმებზე მუსიკის ჩერჩელი

ჩვილი ბავშვების სახიანი ღამურები მოცახცახე იისფერ ნათელში

მათი სისინი, მათი სტენა, ფრთების ტლაშუნი

ჩაღამებული კედლების გასწვრივ თავდაყირა დაკიდება

გაშლილ რიგებად

თავდაყირა დაკიდებული კოშკები ჰაერში

რეკენ ხსოვნაში ჩამწვდომი ზარები რომელნიც იპყრობენ საათებს,

სიმღერა მოისმის ცარიელი ცისტერნებიდან, დაშირალი ჭუბიდან.
 ამ დახავსებულ ჯურლმულებში მთებს შორის, ღამით მოვარის მკრთალ შექმნებიდან
 გადატკეპნილი საფლავების და საყდრის ინკვლივ
 (ცარიელი საყდარია მანდ, ქართა საღვომი)
 მას სარკმლები აღარა აქვს, კარიღა შემორჩია,
 გამხმარი ჩონჩხი ყველასათვის უვნებელია.
 მსოლოდ მამალი შემომჯდარა გუმბათის ხეზე და
 ყიყლი-ყორ, ყიყლი-ყოროოო
 გაისმის ელვის მოკაშვაშე ნათელში. შემდეგ სველი ქარის შემოხლა
 და წვიმა
 განგი დაშირალიყო, გამხმარი ფოთლები
 წვიმას მოელოდნენ.
 ჰიმალაის თხემზე გროვდებოდნენ შავი ღრუბლები.
 ჯუნგლი გაილურსა, გაყუჩდა და ამ დროს
 აღაპარაკდა ჟექა-ქუხილი

Da

Datta:¹ ნეტავ რა გავიღეთ?
 იცი, მეგობარო, სისხლი მეყინება ძარღვებში
 როცა მახსენდება საზარელი რისკი დათმობილ წეთების
 რომელთაც სიბრძნის საკუუნეც ვეღარ დაგვიბრუნებს:
 აი რით ვეოცხლობდით, ან რით ვარსებობდით
 ჩვენს ნეკროლოგებში ამას არ იტყვიან
 არც მოგონებებში რომელთაც მობლანდავს ვინმე

ქველმოქმედი ობობა

¹ გალება, მიცემა რაიმესი (სამსურიტი).

დარც იმ დალექტულ ფურცლებში რომელთაც გადასწინის კრიზის
დალექტი სამართლის მოხელე
ჩვენს ცარიელ ათახებში

Da

Dayadhvam¹: გავიგონე გასაღების ხმა
კარებში რომ მხოლოდ ერთხელ გადააბრუნეს
ყოველი ჩვენგანი ფიქრობს გასაღებზე, თავთავის ციხეში
გასაღებზე ფიქრით ჩვენ ვიქმნით ციხეებს
და მხოლოდ მწერისას, ეთერული ხმები
წუთით აცოცხლებენ გამტყდარ კორიოლანს

Da

Damyatta²: ნავი მხიარულად გამოეპასუხა
აფრის და ნიჩბის ხმარებაში გაწაფულ ხელებს
ზღვა იყო წყნარი და თქვენი გელიც ალბათ ასევე მინებდებოდა
მორჩილის ფრთხიალით მოყვასურ ხელებს.

ვიჯექი ნაპირზე

ვთევვზაობდი და ჩემს ზურგსუკან გადაშლილიყო გამხმარი ველი
ბოლოსდაბოლოს ჩემი მიწები ხომ მაინც უნდა მოვაწესრიგო?

ლონდონის ხიდი ირღვევა ირღვევა ირღვევა

Poi s'ascose nel foco che gli affina³

quando fiam uti chelidon⁴ — ო მერცხალო, მერცხალო

¹ თანავრძნობა — (სანსკრ.).

² მოსინჯვა, კონტროლი (სანსკრ.).

³ შემდგომ ამისა იყი ჩანთქა მგზებარე ალმა (დანტე, სალხინებელი XXVI, 148).

⁴ როდის მერცხალო, როდის ხანია? (ლათ.).

7. ამერიკელი პოეტები

Le Prince d'Aquitaine à la tour abolie¹

ეს ნამსხვრევები გამოვრიყე ჩემი დაქცევის აღგილას
ამიტომაც მოგწონთ თქვენ ეს კუნძული. პიერონიმო ისევ
გივად არის.

Datta. Dayadhvam. Damyata.

shantih shantih shantih².



¹ ეერაზ დე ნერვალის სონეტილაზ („აქვიტანიის პრინცის აქცე დანგრეული კოშეი“. ფრ.).

² მოძახილის სიტყვა „მშვიდობა“ უპარიშედების პიმებში ინმარება პიმინის ბოლოში (სანსკრ.).

სამარარი პოეზიაზე

ცერემონია უნდა მოიძებნოს
 ახმახი მავრის დეზდემონასთან შესაუღლებლად.
 არ კმარა მხოლოდ
 სენატორის მოწონება დაიმსახურო,
 ან დაწუნება არად ჩააგდო; კეთილშობილ იაგოს
 ძალუძს ყოველივე ამის მოგვარება. მაგრამ ეს არ კმარა.
 შესაძლოა ხვენემოდეს ქალი, მის შავ მკლავებში გამომწყვდეული
 (მის მძიმე სხეულს მოსდგამს მოქნილობა ბარბაროსული
 ულაყებისა),

ქალს იპოვნიან
 ვენეციელთა სახელმწიფოს დესპანები
 დამხრჩვალს ლოგინში.
 ეს ამბები ოდნავადაც არ გამოცვლილან
 უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში.

(დაპეპვლა ისევ დაპეპვლაა
 თუმც კი საკუთრივ სიტყვა „დაპეპვლა“ მოძველდა ოდნავ.
 ბუნებრივია, ამ რიტუალის შესატყვისი ლათინურში არ უნდა იყოს.)

და თუმც ოტელო მეფეთაგან წარმოდგებოდა,
 წარმომავლობით ბარბაროსი იყო და ქცევით
 აფრიკის მკვიდრი. ლაპარაკშიც მეტად უხეში.
 უნდა გვახსოვდეს, თუმც უყვარდა მას ცხვირსახოცი,
 (თუთის ნაყოფი აბრეშუმზე ამოქარგული),
 უყვარდა არა როგორც კარგი ნახელსაქნარი,
 არამედ როგორც მაგიური ნივთი რაიმე.
 დეზდემონამაც სცადა ერთხელ ამოქარგა,
 მამისეული ფარის მსგავსი მოხატულობა,
 სამჯერ დაიწყო და სამჯერვე გამოუვიდა
 მკრთალი ფერები. და თუმცა ეს წვრილმანი გახლავთ
 მაგრამ მეტად ნიშნეული რამ.

დეზდემონა იყო ფაქტი და შშვენიერი.
 როგორც კალია შემოდგომის პირველ დღეებში.
 ჯნეციელი თხემით ტერფამდე.

არა, არ კმარა

მათი შეხვედრა, გაშიშვლება, შუაღამისას;
 ჩაბნელებული არხის პირად პატარა ვანში,
 იავოზე ნაკლებ მოხერხებული მაჭანკალიც მოაწყობდა ამ

უოველივეს.

ცერემონია უნდა მოიძებნოს
 ტრადიციელი, შესაფერი სიმბოლოებით,
 ეფრთ ძელით, ვიდრე სიზმრის მეტაფორები.
 უცნაური, აროდესსმენილი მუსიკის თანხლებით;
 ხანგრძლივი, როგორც ჩირალდნების წვა საძილე დარბაზის
 კარფეზთან.

XX	ଶାନ୍ତିକଣିଳ ଅଭ୍ୟରଣ୍ୟରେ	ପ୍ରକାଶିତ	3
ପଠିତ ପାଠ ମାନ୍ଦି			
	ପ୍ରଥମଦିଲ୍ଲି ଖାଲାଜୀଂ		17
	ପ୍ରଥମଦିଲ୍ଲି		18
	ଶୁଦ୍ଧାଲ୍ଲି ଶ୍ରେଷ୍ଠିଶାଲମି		19
	ରା ପାତା ନୃତ୍ୟ		20
	ମାନାମାତ୍ରା		21
	ମ. କାମିତ୍ରାନ୍ତି! ନେମି କାମିତ୍ରାନ୍ତି!		22
	ଶ୍ରେଷ୍ଠିଶାଲମି ନେମି ଶାମିଲାଦାତାଙ୍କ ପିଲାସିଟାଫିଶାଲମି		23
	ଅଳ୍ପା, ରମ୍ପା ଉଚ୍ଛିତ		23
ପଠିତ ପାଠ ମାନ୍ଦି			
	ପାତାଲକାଳୀଶ ଶିଶ୍ରେଷ୍ଠା ନାତେଲାଙ୍କ		24
	ନିତି ଗାନ୍ଧିମିଶ୍ରନ୍ଦା ପିଲାକୁଞ୍ଜ		25
ପଠିତ ପାଠ ମାନ୍ଦି			
	ଶିନ୍ଦ୍ରସ୍ଵର ନିଷ୍ଠା		26
ପଠିତ ପାଠ ମାନ୍ଦି			
	ଶିରାକୁଣ୍ଡି		28
	ଶିରାକୁଣ୍ଡି		29
ପଠିତ ପାଠ ମାନ୍ଦି			
	ଶିରାକୁଣ୍ଡି		31
	ଶିରାକୁଣ୍ଡି		32
	ଶିରାକୁଣ୍ଡି		32
	Pertinax		32
	ପ୍ରେତାମିଶ୍ରନ୍ଦି		33
	ଶିରାକୁଣ୍ଡି ଶିରାକୁଣ୍ଡି		34
	ଶିରାକୁଣ୍ଡି ଶିରାକୁଣ୍ଡି		34



40

საქართველოს
სახელმწიფო 41

გარღ სენდბერგი	
ანტიკუანი	40
ბალახი	
ცოვ სამარეში	41
ჩიყავო	
ჯალათი თავის ცოლ-შვილში	42
რიცხვების კაცი	44
სიკვდილი ქაშვილში ხელს მოავლებს გელაშავ კაცი	45
ფუსალმური უთენია გამოსულთამვის	46
პირველი კლასის ვესპერები	47
კუდაბნო	
„შეიძლება“	48
3 3 0 ჩელ ლინდზი	50
ზანგური ქადაგება: საიმონ ლეგრი	
კოლეცი სტივენსი	51
პიტერ კეინის კლავიატურასთან	54
შეთქმულება ვოლიათის წინააღმდეგ	57
კრის პარ დი	
მუსერის ლიტანია	59
კუნძული ტბაშე	61
პაპირუსი	
ძველებური სიბრძნე, უმაღ კოსმიური	62
ეპიტაფიები	62
პავანი, ნოემიზრის 8	63
მოდი დავდოთ პაქტი, უოლტ უიტმან	63
De Aegypto	63
რობინსონ ჯეფრისი	
ცუდი სიზმინების აპოლოგია	65
დაჭრილი ქორი	70
თვალი	
H. D. (პილდა დუდი ტლი)	71
გლენე	
	72

උ ත ම අ එ ම එ ප එ ර න ත ත	
ශාර්හානි දාචිය රාජ්‍යාලැංග	
ජාපිත් ජ්‍යෙෂ්ඨාලෝධී	82
පිපෘත්තාමිනි	
„දැමැත්තන ධෙනින්ද උරාන්ස්යරිප්ලුට්“	64
පොදුවන්ගේ „නත්ත යුවාර්තුව්“	84
පොදුවන්ගේ „භාෂාර්ථිත්තිවාද මිණ්ඩා“	89
ඡ්‍යාලෝධී පියුවුදිලි	93
මුද්‍රණ නාත්‍යාචි	93
ප ත න ප ත ල ප ත ම ග ත	
සාර්ථකරි පොදුවන්ගේ	99

E-50

У 537 /
АМЕРИКАНСКИЕ ПОЭТЫ
(На грузинском языке)



Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1971

გამოშეცვლის რედაქტორი ლ. იმერლიშვილი
მხატვარი ს. გირჯვაძიძე
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქაგომაძე
კორექტორი ნ. თავაძე
გამოშეცვები ც. თოფურიძე

კადავთა წარმოებას 8/11-71 წ. ხელმოწერილია დასაბუჭ-
დად 25/X-71 წ. სააღმ.-საგამოშეცვლით თაბაზი 3,6.
კად. ზომა 70×108½/23. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 4,38
ტირაჟი 7.000 შევ. № 512
ფასი 45 კაპ.

გამოშეცვლის „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპილიგრატუ-
რეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომისარი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома
Государственного комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

古今圖書集成
卷之三

